ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

შაბათი – კვირა, 15 – 16 ივლისი, 2017

№166 (7401)

ფასი: 50 თეთრი

ვის შეიწირავს აბესაძის საქმე

პროკურორი: „ფარულ ჩანაწერში აბესაძე კონკრეტულ პიროვნებებს ასახელებს“

გვ.3

13 ივლისიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი

ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ქართველთა მარში: „მთავრობა თუ არ მოგვისმენს, 100.000 კაცი გამოვა“

გვ.2

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მოსახლეობა აივანზე იყო გამოსული და დიდი სიხარულით გვხვდებოდა“

გვ.5

რუსული ოკუპაცია იან კელიმაც გააპროტესტა

გია გვაზავა: „მოსკოვში დეპუტატების ცალ-ცალკე სირბილი სწორი არ არის“

გვ.3

„რუსები ხელს თუ არ შეგვიშლიან, აფხაზებთან ურთიერთობები მალე აღდგება“

რა ჩვენება მისცა სასამართლოს შორენა თეთრუაშვილმა

ადვოკატები და პროკურატურა განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებენ

გვ.2

შალვა შავგულიძე: „2020 წლის არჩევნები მთლიანად პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს“

გვ.4

კახა კუკავა: „მეროგის საერთო კანდიდატი თვის ბოლომდე გვეყოლება“

გვ.3

გვ.5

აფხაზეთში ტურისტული სეზონი ჩავარდა?

რისკენ მოუწოდებს ტუროპერატორებს როსტურიზმი

გვ.5

გიორგი ვაშაძე: „რუსეთი საქართველოსთან ჰიბრიდულ ომს აწარმოებს“

ISSN 1987-9385

რა ჩვენება მისცა სასამართლოს შორენა თეთრუაშვილმა

ადვოკატები და პროკურატურა განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებენ

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმეზე 14 ივლისს სერიოზული ხალხი დაიკითხა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ჩვენება ორმა მეუფემ მისცა, მთავარი ყურადღება მაინც პატრიარქის მდივან-რეფერანტ შორენა თეთრუაშვილისკენ იყო მიპყრობილი.

პროკურატურის მტკიცებით, დეკანოზმა გიორგი მამალაძემ ციანიდი შორენა თეთრუაშვილის მოსაკლავად შეიძინა. დაცვის მხარის მტკიცებით კი, ციანიდის შეძენას დეკანოზი მდივან-რეფერანტის დავალებით ცდილობდა.

დაცვის მხარის მტკიცებითვე, თავის დროზე დეკანოზს თეთრუაშვილმა გველის შხამის შოვნაც დაავალა.

საქმის ერთ-ერთი პროკურორის ზვიად გუბელაძის თქმით, პატრიარქის მდივან-რეფერანტმა განაცხადა, რომ მას მამა გიორგისთვის არც გველის შხამი და არც ციანიდი არ უთხოვია.

– შორენა თეთრუაშვილის ჩვენებით, პირველ რიგში, დადასტურდა, რომ მას არასდროს გველის შხამი არ უთხოვია გიორგი მამალაძისთვის და ამისთვის 500 დოლარი არ მიუცია.

მისი ჩვენებით ასევე დადასტურდა, რომ გიორგი მამალაძისთვის არასდროს უთხოვია ციანიდი არც ოქრომჭედლისთვის და არც სხვა მიზნით. ასევე დადასტურდა, რომ გიორგი მამალაძე უკვეთავდა სხვადასხვა ცილისმწამებლურ სტატიებს, რომლებიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა სასულიერო პირების დისკრედიტაციას, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გუბელაძემ.

მან იმ ჟურნალისტებზეც ისაუბრა, ვისაც დეკანოზი ცილისმწამებლურ სტატიებს უკვეთავდა. ერთ-ერთი მათგანი პროკურატურის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე იყო.

– გიორგი მამალაძე უკვეთავდა სხვადასხვა ცილისმწამებლურ სტატიებს, რომელიც იყო უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი. სტატიებს უკვეთავდა სხვადასხვა პირებს, მათ შორის იყო ირაკლი მამალაძე. ირაკლი მამალაძის გარდა, იყვნენ სხვა ჟურნალისტები, რომლებიც ავრცელებდნენ ცილისმწამებლურ სტატიებს, – ამბობს პროკურორი.

ზვიად გუბელაძის თქმით, ჩვენებაში მდივან-რეფერანტმა იმ მიზეზებზეც ისაუბრა, რატომაც ჰქონდა მას დეკანოზთან ცუდი ურთიერთობა.

– დაზარალებულმა თეთრუაშვილმა ისაუბრა გიორგი მამალაძესთან არსებულ ურთიერთობაზე, მათ შორის დაძაბულ ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიშვა გიორგი მამალაძის მიერ სხვადასხვა ცილისმწამებლური სტატიების გამოქვეყნების შემდეგ.

თავის დროზე თეთრუაშვილმა მას ჰკითხა, „თქვენ ხომ არ ავრცელებთ ამ სტატიებს, რადგან ქონების მართვის სამსახურია ნახსენები“-ო, რასაც გიორგი მამალაძის გაღიზიანება და არასათანადო საუბარი მოჰყვა.

ასევე, შორენა თეთრუაშვილმა ისაუბრა იმ ფაქტზე, რომ მას შემდეგ, რაც გიორგი მამალაძემ შეიძინა განუსაზღვრელი უფლებამოსილება, კერძოდ, მიეცა უფლება, რომ საპატრიარქოს სახელით ქონებრივ საკითხებზე მიემართა სხვადასხვა პირისთვის, ხოლო კანონით ასეთი უფლებამოსილების მქონე პირი არის ქორეპისკოპოსი და პატრიარქის მდივანი.

ერთ-ერთი პირი, ვინც მივიდა პატრიარქთან და განუცხადა, რომ გიორგი მამალაძეს ამ უფლებამოსილების შესაფერისი თანამდებობა არ ეკავა, იყო შორენა თეთრუაშვილი და ამის შემდეგ მოხდა გიორგი მამალაძის დაქვეითება. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო, რის გამოც გიორგი მამალაძეს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა შორენა თეთრუაშვილისადმი და მიიჩნევდა, რომ ის იყო მისი დამაბრკოლებელი კარიერულ წინსვლაში, – აღნიშნა გუბელაძემ.

მდივან-რეფერანტის ჩვენებასთან დაკავშირებით სულ სხვანაირი შეხედულება აქვს დაცვის მხარეს.

როგორც ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ ჟურნალისტებს უთხრა, თეთრუაშვილმა თავის ჩვენებაში დაადასტურა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძეს მისი მოკვლის საბაბი არ ჰქონდა.

მანვე პროკურორი გუბელაძე არასწორი ინფორმაციების გავრცელებაში დაადანაშაულა.

ადვოკატმა კიდევ ერთხელ მოითხოვა პროცესის გახსნა. მისი თქმით, სხვა შემთხვევაში საზოგადოება სიმართლეს ვერ გაიგებს.

– პროკურორი არ შეეხო იმას, შორენა თეთრუაშვილმა აბსოლუტურად ვერანაირად ვერ დაადასტურა და არც შეეცადა დაედასტურებინა, რომ გიორგი მამალაძეს რაიმე ანგარების მოტივი ექნებოდა მისი მკვლელობის. ასევე, მან პირდაპირ და მკაფიოდ დააფიქსირა, რომ გიორგი მამალაძეს არ ჰქონდა საბაბი, ის მოეკლა.

ასევე, კითხვაზე, თუ იცოდა, რომ გიორგი მამალაძე ამზადებდა მის მკვლელობას, მან თქვა, რომ მე არ ვიციო. მან ასევე თქვა, რომ ძალიან ბევრ ტკბილს მოიხმარს და ნამდვილად არ არის ადამიანი, რომელიც შაქარს არ ჭამდა და ტკბილს, როგორც პროკურატურა აპელირებდა და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ჩანაწერები გაუშვა, – ამბობს ფანცულაია.

14 ივლისს სასამართლოზე მეუფე იაკობი დაიკითხა. სასამართლოდან გამოსულმა ბოდბელმა ეპისკოპოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

მეუფე იაკობმა აღნიშნა, რომ მას კითხვები დაუსვა დეკანოზმა გიორგი მამალაძემაც, თუმცა, რა კითხვები ჰქონდა ბრალდებულს, მეუფე იაკობს არ დაუკონკრეტებია.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის თქმით, დაცვის მხარეს ქორეპისკოპოსთან ბევრი კითხვა ჰქონდა, თუმცა, კონკრეტული პასუხები ვერ მიიღეს.

– მეუფე იაკობი კონკრეტულ კითხვებზე არანაირ პასუხს არ სცემდა, რომელიც, ვთქვათ, გასაგები იქნებოდა. ზოგადი ფრაზირებით იყო შემოფარგლული. უბრალოდ, მისი განმარტებით, ის ელოდება სასამართლოს დამთავრებას და როგორც აღმოჩნდა, ჩემ მიმართ აქვს გარკვეული პრეტენზიული კითხვები. რა კითხვები აქვს, ამას სასამართლოს დასრულების შემდეგ გავარკვევთ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მიხეილ რამიშვილმა.

ბოდბელი ეპისკოპოსის გარდა, მეუფე თეოდორე, მამა მიქაელ ბოტკოველი და არქიმანდრიტი დავით ჭინჭარაული დაიკითხნენ.

ქართველთა მარში: „მთავრობა თუ არ მოგვისმენს, 100.000 კაცი გამოვა“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მოსახლეობა აივანზე იყო გამოსული და დიდი სიხარულით გვხვდებოდა“

შორენა მარსაგიშვილი

თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე გამართული ქართველთა მარში მშვიდობიანად დასრულდა. მართალია, თბილისის პარალელურად იგივე მარშის მოწყობა ვერ მოხერხდა, მაგრამ ორგანიზატორები მაინც კმაყოფილები დარჩნენ.

უკანონო მიგრაციის გასაპროტესტებლად აღმაშენებლის გამზირზე რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა.

აქციის მონაწილეებზე ადრე აღმაშენებელზე სამართალდამცავები მივიდნენ. შსს-მ ადრევე განაცხადა, რომ წესრიგს დაიცავდა.

მარშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, სანდრო ბრეგაძემ ერს პირველი გამარჯვების შესახებ ამცნო.

– დილიდან აღმაშენებელზე და რესპუბლიკის მოედანზე ყველა საეჭვო დაწესებულება დაკეტილია. ეს არის ჩვენი გამარჯვება. იმედი მაქვს, ეს დაწესებულებები აღარასდროს აღარ გაიხსნება, – დაწერა სოციალურ ქსელში მარშის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

სანდრო ბრეგაძის თქმითვე, ისინი ცოტა ხანს კიდევ დაელოდებიან ხელისუფლებას და მომდევნო აქციას უკვე კანცელარიასთან გამართავენ.

ის აქციით კმაყოფილი დარჩა. მას იმედი აქვს, რომ საქართველოში უკანონო მიგრაცია შეჩერდება.

ქართველთა მარშის იდეას თავიდანვე იწონებდა უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე. მისი თქმით, მარშზე გაცილებით მეტი ხალხი მივიდოდა, ლიბერასტებს ჭორები რომ არ გაევრცელებინათ.

– მთელი ამ პერიოდის მანძილზე მიდიოდა საუბარი იმაზე, რომ აღმაშენებელზე არეულობა და საშინელება მოხდებოდა. ლიბერასტები ათას რაღაცას იგონებდნენ, ხან ფაშისტებად გამოგვაცხადეს, ხან კრემლის აგენტებად. ხალხის დიდი ნაწილი ამიტომ არ მოვიდა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში უფლებადამცველი.

მისი თქმით, მოსახლეობა მარშის მონაწილეების მიმართ საოცარ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა.

– ამ საეჭვო დაწესებულებების გამო აღმაშენებელზე გავლა ფაქტიურად შეუძლებელია. იქ მცხოვრებლები ძალიან შეწუხებულები არიან. მოსახლეობა აივანზე იყო გამოსული და დიდი სიხარულით გვხვდებოდა, – აღნიშნავს მჟავანაძე.

მისი განცხადებით, აქციაზე სულ მცირე 10.000 ადამიანი იყო მისული. უფლებადამცველს სჯერა, რომ ხელისუფლება ხალხის მოთხოვნას შეასრულებს.

– სანამ ეს მარში დაანონსდებოდა, მანამდე თქვა პრემიერმა, რომ ამ ტერიტორიაზე ცუდი რამეები ხდება. ეს მაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება ხალხის მოთხოვნას შეისმენს, – იმედოვნებს უფლებადამცველი.

მარშის მონაწილეებმა მარჯანიშვილის მოედანზე პატარა მიტინგიც გამართეს, სადაც ხელისუფლებისთვის გადასაცემი პეტიცია წაიკითხეს.

აქციის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ისინი მოღალატეებად და რუსეთის აგენტებად მონათლეს.

– უკანონო მიგრანტების წინააღმდეგ გაცილებით მრავალრიცხოვანი აქციები იმართება ევროპაში. ჩვენი და მათი მოთხოვნები ერთნაირია. რატომ არის გერმანელის მოთხოვნა ევროპული სტანდარტის და ჩვენი კრემლის დაკვეთა? – კითხულობს მჟავანაძე.

მისი თქმით, ანალოგიური მარში საქართველოში შესაძლოა კიდევ გაიმართოს, თუმცა ეს ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული:

– ამ აქციის შემდეგ თუ არაფერი შეიცვლება, ხვალ უკვე მთავრობის კანცელარიასთან გაიმართება აქცია. სადაც 10.000 კი არა, 100.000 კაცი გამოვა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა კუკავა: „მერობის საერთო კანდიდატი თვის ბოლომდე გვეყოლება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

– ბატონო კახა, ოპოზიციური პარტიების ნაწილი ცდილობთ, შეთანხმდეთ მერობის ერთიან კანდიდატზე. რა დრო დაგჭირდებათ იმისთვის, რომ მიხვიდეთ საბოლოო შეთანხმებამდე?

– თვის ბოლო, ეს არის უკიდურესი მაქსიმუმი.

– ალბათ ყველა პარტიიდან გამოიკვეთება ლიდერი, რომელსაც ამბიცია ექნება მერობის კანდიდატობაზე. როგორ აპირებთ ამ საკითხის მოგვარებას?

– შეთანხმებას თუ მივაღწიეთ, ეს შეთანხმება თავის თავში გულისხმობს იმას, რომ პარტიული ლიდერების ამბიციები გვერდზე უნდა გადაიდოს. შეთანხმება ამას გულისხმობს.

– არიან სხვა ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც უკვე წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურები და ოპოზიცია ერთიანი მაინც ვერ იქნება. ასე არ არის?

– ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ ოპოზიციურ ერთიანობაზე, აქ ნაციონალური მოძრაობა და მისი განშტოებები არ იგულისხმება, სხვა პარტიებს კი ჯერ კანდიდატურები არ დაუყენებიათ.

– ალეკო ელისაშვილზე რას იტყვით?

– ჩვენ დამოუკიდებელ კანდიდატებთან სათანამშრომლოდაც მზად ვართ. უბრალოდ, ალეკოს თვითონ ჰქონდა გაცხადებული, რომ არ სურს არავისთან თანამშრომლობა და არავის მხარდაჭერა. ეს მისი არჩევანია, მაგრამ სხვა კანდიდატების მხრიდან, იგივე ალეკოს მხრიდან თუ იქნება სურვილი, რომ იყოს ამ ერთიანობის მონაწილე, ჩვენ კიდევ ერთხელ ვამბობთ, „ოცნებისა“ და ნაციონალების გარდა, ყველასთან სათანამშრომლოდ მზად ვართ!

– კონსტიტუცია და კონსენსუსი ოპოზიციასთან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საპარლამენტო უმრავლესობა ამბობს, რომ ოპოზიციასთან კონსენსუსის შესაძლებლობას ვერ ხედავს. რა ტაქტიკა გაქვთ ასეთი?

– ოპოზიცია არის ძალიან მრავალგვარი, ძალიან მრავალფეროვანი, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ მთლიანად ოპოზიციას აქვს ერთი პოზიცია და ტაქტიკა, გაუმართლებელია.

– თუმცა კონსენსუსი მისაღწევია. ამ საკითხში პასუხისმგებლობას არ იზიარებთ?

– რა თქმა უნდა, ოპოზიციას აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა, ამაში ორი აზრი არ არის, მაგრამ ძირითადი პასუხისმგებლობა არის ხელისუფლებაზე, იმიტომ რომ მესამე მოსმენამდე მან მოიყვანა სიტუაცია ისე, რომ არც ჩვენი და არც დანარჩენი პარტიების მოსაზრება არ გაუთვალისწინებია. ის, თუ რა დღეშიც არის დღეს კონსტიტუცია, თავიდან ბოლომდე „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობის საკითხია.

– ელოდებით ხელისუფლების მიწვევას კონსულტაციებზე?

– როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის შიგნით მიმდინარეობს კონსულტაციები. ორივე მხარეს არიან დიალოგის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ამიტომ დაზუსტებით ვერ გეტყვით, ეს დიალოგი დაიწყება თუ არა. მაინცდამაინც არცერთი მხარე არ ჩანს მოტივირებული, რომ ეს დიალოგი დაიწყოს და შეთანხმება შედგეს.

– ანუ დარჩება კონსტიტუცია იმ სახით, რომლითაც ამჟამად არის?

– შესაძლოა, ეს ვარიანტიც განვიხილოთ.

– წავა ოპოზიცია ამ დათმობაზე?

– ოპოზიციას დღეს არ აქვს იმის რესურსი, რომ რამე შეცვალოს. ეს რესურსი აქვს ქართველ ხალხსა და ვენეციის კომისიას.

გია გვაზავა: „მოსკოვში დეპუტატების ცალ-ცალკე სირბილი სწორი არ არის“

„რუსები ხელს თუ არ შეგვიშლიან, აფხაზებთან ურთიერთობები მალე აღდგება“

გულიკო ბალაძე

რა პერსპექტივა აქვს რუსეთთან მოლაპარაკებებს? ამ საკითხზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა** „ახალ თაობასთან“ საუბრობს.

– ბატონო გია, როგორ უყურებთ რუსეთთან მოლაპარაკებების პერსპექტივას? საქართველოს პარლამენტის წევრი ადა მარშანია რამდენიმე დეპუტატთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა. მან რაღაც ახალი წამოიწყო. რა პერსპექტივა აქვს მის წამოწყებას?

– რუსეთთან მოლაპარაკებები მხოლოდ პარტიის პროგრამაა არ არის. პარტიას აქვს უფლება, მიავლინოს, ვინც უნდა. ჩავიდნენ რუსეთში და შეხვდნენ, ვისაც უნდა, მაგრამ როცა დეპუტატი ან დეპუტატთა ჯგუფი მიდის, ყველაზე ცოტა, პარლამენტს მაინც უნდა ჰქონდეს განხილული და, როგორც იტყვიან, უფლება მიცემული ასეთი მოლაპარაკებებისთვის.

ჯერ თვითონ პარლამენტს უნდა ეთქვა (თუკი გადაწყვეტდა), რუსეთთან რა ფორმატში ელაპარაკა. დეპუტატთა ჯგუფი ჯერ რაღაც წინადადებებს აყენებს და მერე მიდის პარლამენტში სალაპარაკოდ, მე ეს მართებულად არ მიმაჩნია.

ბარავოიმ გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რადგან ოკუპაციის კანონზე საუბრობენ, ე.ი. ოკუპაციაზე თანახმა არიან. კი, ბატონო, ვილაპარაკოთ ურთიერთობების გაუმჯობესებაზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშეო.

– ბარავოის კომენტარიდან დასკვნა ის არის, რომ რუსეთი არც ერთი ნაბიჯით უკან არ იხევს.

– რა თქმა უნდა. ოკუპაციის კანონის შეცვლაზე მსჯელობა ნიშნავს, რომ შენ, საერთო ჯამში, ოკუპაციას ეთანხმებიო. ეს უკვე არასწორი პოზიციაა.

– ცხადია, არასწორი პოზიციაა. თითქოს, რადგან ოკუპაციის კანონი გვაქვს, ვეთანხმებით ოკუპაციას. ასე უკუღმა მსჯელობა შეიძლება, ოკუპაციას რომ არ ვეთანხმებით, იმიტომ, არ მივიღეთ ოკუპაციის კანონი?

– დიახ. ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას არასოდეს დავეთანხმებით. ფაქტია, რომ ოკუპაცია მომხდარია, რუსეთს საქართველოს ტერიტორიები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი – ოკუპირებული აქვს. რაზე უნდა ელაპარაკო რუსეთს, თუკი ის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას არ შეწყვეტს და არ დაიწყებს ლაპარაკს იმაზე, მდგომარეობა სასიკეთოდ როგორ გამოსწორდეს? რუსები ამბობენ, კი, ბატონო, ვილაპარაკოთ ოკუპაციის კანონის შეცვლაზეო, მაგრამ თვითონ ოკუპაცია ხომ ამით არ გაუქმებულა. რადგან შენ ელაპარაკები ოკუპაციაზე, გამოდის, რომ ეთანხმები (ერთი შეხედვით, ასეა), თუმცა, ეს ბარავოის შეფასებაა, ჩემი შეფასება არ არის.

– გახმოვანდა, თითქოს რუსები თანახმანი არიან, განსაკუთრებულ დღეებში, აღდგომის დღესასწაულებზე და მსგავს დღეებში ქართველები აფხაზეთში შეუშვან, თავიანთი ახლობლების საფლავებზე მისასვლელად. ხომ არ იცით, ამაზე თანხმობა, რეალურად, მაინც არის?

– არ ვიცი, განსაკუთრებულ დღეებში აფხაზეთში ქართველების შეშვებაზე თანხმობა არის თუ არა. ჯერ არ გაჟღერებულა, მაგრამ

რუსები კურილიის კუნძულებზე იაპონელებს უშვებენ. იაპონელები ჩადიან თავიანთი ახლობლების საფლავებზე. ჩვენ იმის უფლებაც კი არ გვაქვს, ჩვენი ახლობლების, წინაპრების საფლავებზე გავიდეთ. თუ ამაზე იყო ლაპარაკი, ცუდი არ არის. პირიქით, დადებითია, ურთიერთშორის კონტაქტი იქნება, მაგრამ ოკუპაციის კანონზე და მსგავს საკითხებზე საუბარი, თუ საქართველომ არ გადაწყვიტა, მისაღები არ არის.

– არ გაქვთ იმედი, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების საკითხში რაიმე გარღვევა იქნება?

– გარღვევას ნამდვილად არ ველოდები. ლაპარაკი იმაზე, რომ ყველას უნდა ელაპარაკო, მით უმეტეს, ოკუპანტს და დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუმცა, მოლაპარაკებები მოქცეული უნდა იყოს ერთი ქოლგის ქვეშ, გარკვეული უნდა იყოს, ვინ რას ლაპარაკობს. საერთოდ, ამ მოლაპარაკებებს კოორდინაციას უნდა უწევდეს საქართველოს მთავრობა, პარლამენტი და არა ასე ცალ-ცალკე მოქმედებდნენ.

– ხელისუფლების თანხმობა რომ ყოფილიყო, პირადად თქვენ თუ მიიღებდით რუსეთთან მოლაპარაკებებში მონაწილეობას?

– რა თქმა უნდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობას მივიღებდი, თუ სახელმწიფო დამავალებდა. თუ არ დამავალებს, რატომ წავალ!

– რუსებს არაერთხელ უთქვამთ ჩვენთვის, წადით და უშუალოდ აფხაზებსა და ოსებს მოელაპარაკეთო.

– რუსები აფხაზებთან და ოსებთან სალაპარაკოდ არ გვიშვებენ და როგორ უნდა მოველაპარაკოთ?

– მომავალში სალაპარაკოდ რომ მიგვიშვან, მაშინ თქვენ აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკების რა პერსპექტივას ხედავთ?

– აფხაზებთან და ოსებთან მოსალაპარაკებლად რომ მოგვიშვან, თქვენ დაინახავთ, როგორ მოვილაპარაკებთ. თავის დროზე რომ მიეშვათ, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა. კრემლს გათიშე და იბატონეს მეთოდით რომ არ ემოქმედა, ომი არ იქნებოდა, ვიქნებოდით ისე ძმურად, როგორც ვიყავით. რუსები ხელს თუ არ შეგვიშლიან, აფხაზებსა და ჩვენ შორის ურთიერთობები ძალიან მალე აღდგება.

– მიუხედავად ომისა და იმ საშინელი წლებისა, რაც იყო ჩვენს შორის?

– რა თქმა უნდა. დღეს აფხაზები (ვინც ნორმალურია) ძალიან კარგად ხვდებიან, რომ ეს თავსმოხვეული „სამოქალაქო ომი“ იყო.

ვის შეიწირავს აბესაძის საქმე

პროკურორი: „ფარულ ჩანაწერში აბესაძე კონკრეტულ პიროვნებებს ასახელებს“

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთარ აბესაძეს აღმკვეთის სახით პატიმრობა შეუფარდა. არ არის გამორიცხული, მისი ბედი მერიის სხვა თანამშრომლებმაც გაიზიარონ. საქმის პროკურორის განცხადებით, ფარულ ჩანაწერში ის რამდენიმე პიროვნებას ასახელებს.

დაცვის მხარე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრეს. 14 ივლისს მათ აღმკვეთის სახით 15.000-იანი გირაო მოითხოვეს.

სუსმა ის 3.000 დოლარის ოდენობის ქრთამის აღების ბრალდებით დააკავა. ადვოკატების თქმით, ჩანაწერებში არსად არ ჩანს, რომ აბესაძე ფულს ითხოვს.

დაცვის მხარე ამბობს, რომ 3.000 დოლარზე არა ბრალდებული, არამედ აგენტ-პროვოკატორი საუბრობს.

– საქმის მასალებით, ფარული აუდიოვიდეო მასალებით დადგენილია, რომ მოქალაქეს ფულს თავად ოთარ აბესაძე სთხოვს. ეს მითითებულია ამ ჩანაწერებში რამდენიმე ადგილას. ადვოკატის განცხადება, რომ ჩანაწერებში მსგავსი რამ არ არის, ბუნებრივია, რადგან ის ბრალდებულის უფლებებს იცავს მაქსიმალურად. თუმცა, რეალობა სხვაა და ჩანაწერებში პირდაპირაა მითითებული, როგორ სთხოვს ოთარ აბესაძე მოქალაქეს 3.000 დოლარს, – აღნიშნავს საქმის პროკურორი.

პროკურორმა ირაკლი მარშანიამ საქმიდან ამონარიდიც წაიკითხა:

– „კაროჩე“ ახლა რა თემაა, „კაროჩე“ მაგას გადაეცი-მეთქი, როგორც მითხარი ძმაო, სამი ათასი დოლარი, მიდი ახლა და არქიტექტურის გოგოებს მე მივხედავ, არაა პრობლემა, ქონების მართვაშიც ჩავა ის, არ თანხმდება 1.000 დოლარზე და 2.000 ითხოვს.

ირაკლი მარშანიას ინფორმაციით, ფარულ ჩანაწერებში ოთარ აბესაძე კონკრეტული თანამდებობის პირებსა და სახელებსა და გვარებს ახსენებს.

პროკურორის თქმითვე, მერიის თანამშრომლების ნაწილი უკვე დაკითხულია, ნაწილი კი უახლოეს მომავალში დაიკითხება.

– მერიის მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით სხვა განმარტებას ვერ მოგცემთ, ვინაიდან მიმდინარეობს გამოძიება და მას ხელს ვერ შევუშლი. სახელებსა და გვარებს, ასევე კონკრეტულ თანამდებობის პირებს ახსენებს. მერიის თანამშრომლების ნაწილი დაკითხულია, ნაწილი – დაიკითხება. გამოძიება ამჟამად ბევრ ვერსიაზე მუშაობს, – ამბობს მარშანია.

მისივე ინფორმაციით, ოთარ აბესაძემ პირს, რომელსაც ქრთამი მოსთხოვა, განუცხადა, რომ 3.000-დან ნაწილით მოპედის ყიდვას აპირებდა. რაც შეეხება ჩანაწერებში ნახსენებ ტორტს, სახელმწიფო ბრალმდებლის ინფორმაციით,

– ტორტი და სხვა პატივისცემები, განკუთვნილი იყო მერიის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლებისთვის, – განაცხადა პროკურორმა.

ადვოკატ ლალი გელაშვილის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდება. დაცვის მხარეს ბრალის ფორმულირებასთანაც აქვს პრეტენზიები.

– ჩვენ გვაქვს გარკვეული პრეტენზიები ბრალის ფორმულირებასთან, ასევე გვაქვს პრეტენზიები კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მტკიცებულებებთან დაკავშირებით გამოძიების მანძილზე იქნება ჩვენ მიერ დასაბუთებული პრეტენზიები. საუბარია იმაზე, მოპოვებული მტკიცებულებები რამდენად არის საკმარისი ბრალის წარდგენისთვის და, რაც მთავარია, არსებობს თუ არა წარდგენილი ბრალის დანაშაულის შემადგენლობა, კერძოდ, იყო თუ არა ოთარ აბესაძე საჯარო მოხელე იმ ქმედების ჩადენის დროს, რასაც ედავებიან, – განაცხადა ლილი გელაშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებული მერიაში 1 ივლისიდან აღარ მუშაობდა.

ბახალა გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

მსახიობი გიორგი გიორგანაშვილი იგივე ბახალა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. სასამართლო პროცესი საქალაქო სასამართლოში გაიმართა და ხელოვანი 20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს.

ბახალა 5 თვის წინ დააკავეს ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფლობისთვის. სასჯელის ზომად კი 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრებოდა.

მსახიობის გათავისუფლების მოთხოვნით მისმა მეგობრებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, სპეციალური ვიდეორგოლები ჩაწერეს და დედა ენის ბაღში საპროტესტო აქციაც ჩაატარეს.

მისი მეგობრების თქმით, ბოლო პერიოდის „ჩადების“ გახმაურებული ფაქტების მსგავსად, გიორგის საქმეშიც მხოლოდ პოლიციელები იყვნენ მოწმეები. დაკავების მომენტში ის გადაიყვანეს და გაჩხრიკეს ბნელ, უკამერო ადგილას. გიორგის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად კი, ჩხრეკას ნეიტრალური პირი არ დაასწრეს. რაც ყველაზე საგანგაშოა, დაკავების დღიდან მას გარე სამყაროსთან კონტაქტის ყველა საშუალება აეკრძალა. ფიზიკური ტყვეობის გარდა, ის 5 თვეა ინფორმაციულ ტყვეობაშიც იმყოფებოდა. დღემდე კომუნიკაციის ერთადერთი გზა მისი ადვოკატები იყვნენ. სამსახიობო კარიერის პარალელურად, გიორგი მუდმივად იდგა საზოგადოებრივი პროტესტის გვერდით და ნარკოპოლიტიკისა თუ სხვა სოციალურ ცვლილებებს უჭერდა მხარს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შალვა შავგულიძე: „2020 წლის არჩევნები მთლიანად პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს“

ნათია ხურცილავა



თავისუფალი დემოკრატების ლიდერი **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

– ბატონო შალვა, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება, თუ როდის გაიმართოს შეხვედრა ოპოზიციასთან საკონსტიტუციო საკითხებზე. ოპოზიცია რა წინადადებებით მიდის ხელისუფლებასთან?

– როდის იქნება ეს შეხვედრა, არ ვიცი. ხელისუფლებისგან მხოლოდ დეკლარირებული განცხადებები გვესმის დიალოგის მზაობის შესახებ. ოპოზიცია მზად არის დიალოგისთვის. თუ ხელისუფლებაც მზად არის, მაშინ წინ რა უდგას ამ შეხვედრას? პირველ ყოვლისა, რომ შედგეს ეს დიალოგი, საჭიროა, ხელისუფლება დაუბრუნდეს იმ მოცემულობას, რომლითაც დაიწყო საკონსტიტუციო ცვლილებებზე მსჯელობა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

„ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა. ამდენად, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში, რომლის წევრიც გახლდით, ეს საკითხი მსჯელობის საგანი არ ყოფილა. მსჯელობის საგანი იყო, პროპორციული სისტემა როგორი უნდა ყოფილიყო. მეტიც, ხელისუფლებამ გვითხრა, საკონსტიტუციო ცვლილება იმიტომ არის საჭირო, რომ საარჩევნო სისტემა გვაქვს შესაცვლელიო.

ბოლო მომენტში ეს მოცემულობა მთლიანად შეიცვალა. ამდენად, ეს არის მხოლოდ ერთი პარტიის, „ქართული ოცნების“, საკონსტიტუციო პროდუქტი, რომელსაც არცერთი ეტაპი არ გაუვლია, რომელიც უნდა გაიაროს კანონით საკონსტიტუციო ცვლილებებმა.

– ოპოზიცია რას დათმობს და რას – არა?

– ეს კითხვა თქვენი მხრიდან ლოგიკურია, მაგრამ ეს არის ხელისუფლების ტაქტიკური და არაკეთილსინდისიერი სვლა, რომ ბურთი ოპოზიციის მოედანზე გადმოაგდოს. საქმე ასე არ არის. ხელისუფლებამ შეცვალა მოცემულობა და იმ მოცემულობის წინაშე დაგვაყენა, რომლის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ამიტომ ვამბობთ, რომ ხელისუფლებამ ახალი მოცემულობა უნდა დათმოს და უნდა დაუბრუნდეს იმ მოცემულობას, რაც იყო. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი. ასევე ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, ვფიქრობთ, რომ მანდატების განაწილება არა ბონუსსისტემით, არამედ სამართლიანად უნდა მოხდეს.

– ბარიერი?

– ბარიერი არ არის ისეთი საკითხი, რომელზეც ვერ მოხდება შეთანხმება, ამიტომაც დათმო ხელისუფლებამ ასე ადვილად ბარიერი. საარჩევნო ბლოკები უნდა იქნეს შენარჩუნებული. მით უფრო, როდესაც არსებობს ტრადიცია, რომ მხოლოდ საარჩევნო ბლოკები ცვლიდა ხელისუფლებას ბოლო 25 წლის განმავლობაში. ბლოკის გარეშე ერთ პარტიას გაუჭირდება ხელისუფლების შეცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება სრულიად არასამართლიანი წესი.

ხელისუფლებამ თავად შემოგვთავაზა ბარიერის დაწევა. არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ უთხოვია ხელისუფლებისთვის, რომ საარჩევნო ბარიერი დაწეულიყო. ასევე ხელისუფლება გამოთქვამს გარკვეული მზაობას, რომ საარჩევნო ბლოკებიც დათმოს, მაგრამ ამ ყველაფერზე ის თანახმაა მხოლოდ ერთჯერადად, მხოლოდ ერთ საპარლამენტო არჩევნებზე.

– ეს გიჩენთ ეჭვს?

– დიახ, რა თქმა უნდა, რა მიზანს ემსახურება ყოველივე ეს, თუ არა იმას, რომ შექმნას სატელიტი პარტიები?! ხელისუფლებას აქვს განზრახვა, რომ ან ახალი პარტია შექმნას, რომელიც მისი სატელიტი იქნება, ან არსებული პარტიებიდან შექმნას სატელიტი.

– როგორ?

– ამ პარტიებს ხელს შეუწყობს, დაეხმარება და შეიყვანს პარლამენტში, მერე იტყვის, რომ მას პარლამენტში ოპოზიცია ჰყავს. ვის შეუძლია, ყველაზე უკეთ დაეხმაროს ოპოზიციურ პარტიას, თუ არა ხელისუფლებას მთელი თავისი სახელისუფლებო რესურსით? ამით შექმნის ხელისუფლება სურათს, რომ მან ოპოზიციასთან კონსენსუსს მიაღწია, დათმო საარჩევნო ბარიერი, დათმო ბლოკების საკითხი, შედეგად კი მივიღებთ მრავალპარტიულ პარლამენტს, რასაც გარეთაც კარგად გააპიარებს და შიგნითაც. სინამდვილეში კი ეს იქნება ერთი დიდი „ქართული ოცნება“, მისი რამდენიმე სახელწოდება შეცვლილი დანაყოფით, მაგრამ რეალურად გვექნება ერთპარტიული პარლამენტი, რომელზეც სრულ კონტროლს სწორედ ეს ერთი პარტია განახორციელებს. ამის არაერთი მაგალითი გვინახავს საქართველოს უახლესი პოლიტიკური წარსულიდან.

– თუ 3% იქნება ბარიერი, მაშინ ისედაც ბევრი ოპოზიციური პარტია შევა პარლამენტში.

– იმ მოცემულობით, რომელიც დღეს გვაქვს, შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებებით რეალურად ოპოზიციური პარტიები გარეთ რჩებიან. ეს არის შემოთავაზებული თამაში ხელისუფლების მხრიდან, რომელიც ჩვენს ქვეყანას არადემოკრატიულად განვითარებას უქადის.

15 ივლისის გადატრიალების მცდელობის ერთი წლისთავი: გზა, დემოკრატიის გამარჯვებიდან ტერორიზმზე გამარჯვებამდე

ერთი წელი გავიდა, 15 ივლისის მუხანათური გადატრიალების მცდელობიდან, რამაც თითქმის უფსკრულის პირას მიიყვანა არა მხოლოდ თურქეთი, არამედ მთელი ჩვენი რეგიონი. ერთი წლის წინანდელი მოვლენები შეიძლება უკვე დავიწყებას მიეცა სხვა ქვეყნებისა და ადამიანებისათვის, მაგრამ არა თურქი ხალხისთვის, რომლისთვისაც ეს საკითხი აქტუალური და პრიორიტეტულია.

იმ ღამეს მომხდარმა ღალატმა საფრთხე შეუქმნა თურქეთის რესპუბლიკის არსებობას და დემოკრატიას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფაქტი იშვიათია ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო ისტორიაში. თურქეთის შეიარაღებულ ძალებში მოკალათებულმა სამხედრო ფორმიანმა ტერორისტულმა ჯგუფმა თვალის დაუხამხამებლად ცეცხლი გაუხსნა ხალხს, რომელიც გამოვიდა გადატრიალების წინააღმდეგ; დაბომბა პარლამენტის შენობა, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები; შეეცადა, ტანკებით გაეჭყლიტა საკუთარი ქვეყნის სიყვარულით გულანთებული მოქალაქეები, რომელთა ერთადერთ იარაღს დემოკრატიისადმი ერთგულება წარმოადგენდა. გადატრიალების მცდელობის ღამეს დაიღუპა 250 და დაშავდა 2000-ზე მეტი ადამიანი.

თურქი ხალხის თავგანწირვა ქვეყნისა და დემოკრატიის დასაცავად, შეიძლება შეფასდეს, როგორც მეორე განმათავისუფლებელი ბრძოლა, რამაც მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ დაარწმუნდა, რომ არ არსებობს იმაზე უფრო დიდი ძალა, ვიდრე საერთო ფასეულობების გარშემო ერთ მუშტად შეკრული ხალხია. ვინაიდან ეს იყო გარდამტები მომენტი ჩვენს ისტორიაში, გადაწყდა, რომ 15 ივლისს აღინიშნოს „ეროვნული ერთობისა და დემოკრატიის დღე“.

წელს, „ეროვნული ერთობისა და დემოკრატიის დღე“ აღინიშნება პირველად და ჩვენ პატივს მივაგებთ დემოკრატიისა და ქვეყნისათვის დაღუპულთა წმინდა ხსოვნას. მათი გმირული თავდადებისა და სიცოცხლის ფასად, დღეს, თურქეთი კვლავ განაგრძობს არსებობას, როგორც ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფო. ის, რომ დღეს თურქეთი არის ჩვენი რეგიონის სტაბილური ქვეყანა, საქართველოსა და სხვა მეზობლებისათვის კი – საიმედო პარტნიორი, 15 ივლისს თურქი ხალხის მიერ გამოჩენილი გმირობის დამსახურებაა.

15 ივლისის ღამეს ჩვენი ხალხის მიერ გამოჩენილი თავგანწირვა და დაღუპულთა პატივისცემა, არაა ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ეს მოვლენები ჩვენთვის კვლავაც აქტუალურია. თურქმა ხალხმა 15 ივლისს დაინახა შეფარულად მოქმედი ტერორისტული დაჯგუფების მახინჯი, მაგრამ ჭეშმარიტი სახე, რომელსაც ეს ორგანიზაცია, ათწლეულების განმავლობაში ნიღბავდა განათლებისა თუ სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობით, იგი კიბოს უჯრედივით იზრდებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების შიგნით, რითაც უგულებელყო ჩვენი ხალხის ყველაზე გულწრფელი გრძნობები.

მართალია, ამ ტერორისტულ ორგანიზაციას (ფეთულაჰ გულენის ტერორისტული ორგანიზაცია – FETÖ) 15 ივლისამდე ჩამოეხსნა ნიღაბი, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იგი ამგვარ მუხანათურ რამეს მოიმოქმედებდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ყველა ჩვენგანისათვის ძალიან მწარე აღმოჩნდა იმის გაცნობიერება, რომ მას ფეხი ჰქონდა მოკიდებული ისეთ საკვანძო სტრუქტურებში, როგორიცაა: სასამართლო სისტემა, პოლიცია, სასწავლო დაწესებულებები, ბიზნესწრეები და შეიარაღებული ძალები. ამან განაპირობა ტერორიზმთან ბრძოლის გარდაუვალი აუცილებლობა, რაც მიზნად ისახავდა მთელი ქვეყნის ამ ჭირისაგან გათავისუფლებას.

15 ივლისის შემდეგ, ორ ძირეულ საკითხზე შედგა ხელისუფლების, ოპოზიციური პარტიებისა და ფართო საზოგადოების კონსენსუსი. პირველი, სასწრაფოდ მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარიყვნენ ის პირები, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ 15 ივლისის ღამეს გადატრიალების მცდელობაში და მათი მხარდამჭერები. ეს იყო არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, არამედ მისი მოვალეობაც დაღუპული ადამიანების წინაშე. მეორე, თურქეთის რესპუბლიკის არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო FETÖ-ს ელემენტებისაგან სახელმწიფო სტრუქტურების გაწმენდა და შესაბამისი ზომების მიღება, რათა მომავალშიც შეუძლებელი გამხდარიყო მსგავსი ტიპის პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბება.

გადატრიალების მცდელობიდან ერთი წლის თავზე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ორივე მიმართულებით: დაკმაყოფილებულია როგორც სამართლებრივი, ასევე საზოგადოებრივი სინდისის მოთხოვნები.

დაპატიმრებულია 15 ივლისის გადატრიალების მცდელობის თითქმის ყველა მონაწილე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მიმდინარეობს მათი სასამართლო პროცესები. პუტჩისტების ჩვენებებიდან გაირკვა, რომ ეს ტერორისტული ქმედება იმართებოდა FETÖ-ს მიერ, უშუალოდ ფეთულაჰ გულენის ბრძანებების შესაბამისად. ასევე, თვალნათლივ გამოჩნდა FETÖ-ს საიდუმლო სტრუქტურა და მისი კანონსაწინააღმდეგო მიზნები. წარმოებული სამართლებრივი პროცესი არის სრულიად გამჭვირვალე, იგი ითვალისწინებს კასაციის ყველა ეტაპს, მათ შორის, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და სრულიად შეესაბამება კანონის მოთხოვნებსა და ფარგლებს.

ასევე, ერთი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა იმ თვალსაზრისით, რომ პუტჩისტების ჩვენებებისა და FETÖ-ს წევრებს შორის საიდუმლო კავშირის სისტემის (bylock) გაშიფვრის შედეგად დადგინდა სახელმწიფო ინსტიტუტებში ჩანერგილი FETÖ-ს წევრების ვინაობა და აღიკვეთა მათი სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა. აქედან გამომდინარე, მრავალი ადამიანი გათავისუფლდა სამსახურიდან ან გადაეცა მართლმსაჯულებას.

აღსანიშნავია, რომ FETÖ-ს წევრობის ბრალდებით დაწყებული ადმინისტრაციული საქმეებისა თუ სამართლებრივი დევნის სიმრავლემ გარკვეული რეაქცია გამოიწვია საერთაშორისო საზოგადოებაში, მაგრამ აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ორი მნიშვნელოვანი საკითხი. ერთი, რომ ეს ორგანიზაცია 40 წლის განმავლობაში კონსპირაციულად ახდენდა სახელმწიფო სტრუქტურებში ინტეგრირებას და მასთან ბრძოლა არაა რიგითი მოვლენა. ასევე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცივი ომის დასრულებისა და ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ სამსახურებიდან გათავისუფლებულთა რაოდენობამ მიაღწია ნახევარ მილიონს, ნათლად დავინახავთ საგანგებო მდგომარეობაში ქვეყნების მიერ განსაკუთრებული ზომების მიღების მართებულობასა და ლეგიტიმურობას.

თურქეთში ეს პროცესი მიმდინარეობს სრულიად გამჭვირვალედ და კანონის ფარგლებში. იმ პირებს, ვინც თვლის, რომ შეილახა მათი უფლებები, საშუალება აქვთ გამოიყენონ ადმინისტრაციული და სამართლებრივი მექანიზმები, რაც მოწონებულია ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოსა და ვენეციის კომისიის მიერ. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული მოკვლევის შემდეგ 30 000 ადამიანი კვლავ აღდგა სამსახურში და ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდება, რადგან ცოტა ხნის წინ შეიქმნა სპეციალური კომისია.

აღარ არსებობს ეჭვი, რომ პუტჩის ორგანიზატორი და განმახორციელებელი იყო FETÖ. გადატრიალების მცდელობის შედეგად, თურქეთისათვის მიყენებული საშინელი საზოგადოებრივი ტრავმის მიუხედავად, ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა არაა განპირობებული რევანშის გრძნობით ან პოლიტიკური ინტერესით. ეს პროცესი მიმდინარეობს მთლიანად სამართლებრივ ფარგლებში და არ ხდება დემოკრატიის ან კანონის უზენაესობის პრინციპების უგულებელყოფა.

არ არსებობს რაიმე პროცესი, რაზედაც თურქეთი ვერ ისაუბრებს ხმამაღლა, პირიქით, იგი მონდომებულია, რომ ჰქონდეს უშუალო დიალოგი თავის მეგობარ, მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებთან, რათა უფრო გასაგები გახდეს FETÖ-ს ნამდვილი სტრუქტურა და მასთან ბრძოლის აუცილებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ FETÖ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ თურქეთის, არამედ ყველა იმ ქვეყნისათვის, სადაც იგი მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი პარტნიორები არაარგუმენტირებული და უსაფუძვლო ცალმხრივი ბრალდებების გაჟღერების მაგივრად, ჩვენთან ერთად, დიალოგის რეჟიმში განიხილავენ ყველა არსებულ კითხვასა და პრობლემას, პატივისცემით მოეკიდებიან თურქეთის დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას და არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯებს, რომელიც მართლმსაჯულებისაგან თავის არიდების საშუალებას მისცემს FETÖ-ს წევრებს.

ისევე, როგორც ჩვენი ხალხის გმირული თავდადებით, 15 ივლისის პუტჩის აღკვეთა იყო არა მხოლოდ თურქეთში, არამედ მთელს ჩვენს რეგიონსა და მსოფლიოში დემოკრატიის დიდი გამარჯვება, ასევე, ამ ვერაგული გადატრიალების ორგანიზატორ FETÖ-ს წინააღმდეგ, სამართლებრივი და დემოკრატიული გზით ბრძოლაში გამარჯვებაც იქნება მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის წარმატება. დღეს, როდესაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ქვეყნისათვის აუცილებელი და პრიორიტეტულია, ამ საკითხში საერთაშორისო თანამშრომლობა იქნება მაგალითი მსოფლიოსათვის, რაც გააძლიერებს დემოკრატიის გლობალურ საფუძველს.

ზეკი ლევენთ გუმრუქჩუ
თურქეთის რესპუბლიკის ელჩი

გიორგი ვაშაძე: „რუსეთი საქართველოსთან ჰიბრიდულ ომს აწარმოებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

– ბოლო პერიოდში ასე რატომ გააქტიურდა რუსეთის პოლიტიკა და რას აკეთებს ამ დროს საქართველოს ხელისუფლება?

– პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ ეს არის ჰიბრიდული ომი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. ეს არის მცოცავი ოკუპაცია ერთი მხრივ, მეორე მხრივ, მედია საშუალებებში მიდის მათი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის. აამოქმედეს შულავერის კომიტეტი, ე.წ. პატრიოტთა ალიანსი, თუმცა არაფერი საერთო ამათ არა აქვთ პატრიოტიზმთან. ყველა მხრიდან მაქსიმალურად გააქტიურებულია ეს პროცესები და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაფერია გასაკეთებელი იმისთვის, რომ არსებობდეს ამის საწინააღმდეგო სტრატეგია.

– ხელისუფლების პოლიტიკაზე რას იტყვით?

– ხელისუფლება არაფერს აკეთებს ფაქტობრივად ამ მიმართულებით. მოლოდინის რეჟიმშია, საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან სუსტი პოზიციებით შევხვდით ამ ყველაფერს და ეს სისუსტე კიდევ გრძელდება. ეს არის ძალიან დიდი და სერიოზული პრობლემები, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ.

– რატომ არ აქტიურობს ამ კუთხით ხელისუფლება? ან რატომ არ არის საერთაშორისო ჩართულობა ამ პროცესში?

– არ მინდა ბოლომდე დავიჯერო, მაგრამ ეს ხელისუფლების მხრიდან სიტუაციის შემზადებასავით არის.

– რას გულისხმობთ?

– რომ ეს იყო დათმობითი პროცესი, ეს იყო წინასწარ გათვლილი მანევრი, რაც ჰქონდა „ქართულ ოცნებას“. მე კიდევ უფრო მინდა მჯეროდეს იმის, რომ მავნებლობით და არაპროფესიონალიზმით მოსდით ეს ყველაფერი. თუმცა იმდენად სწრაფად ვითარდება პროცესები და იმდენად აქტუალურია ეს თემა, რომ უკვე არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

– რუს სამხედროებს ძალიან მცირე მანძილი აშორებთ ცენტრალურ მაგისტრალამდე, რამდენად სახიფათო სიტუაცია იქმნება და რამდენად არის წამსვლელი რუსული მხარე ახალ პროვოკაციაზე? არის საშიშროება, რომ 2008 წლის მსგავსი პროცესი განვითარდეს? თუ ჩვენი ხელისუფლება არ წავა გამწვავებაზე?

– ამ ტიპის საფრთხე რეალურად არსებობს. ეს ძალიან სერიოზული საფრთხეა. რუსეთი შეეცდება გარკვეულ პროვოკაციებს, ეს მათ სტრატეგიაშია. რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება, თუ ჩვენ გვექნება სუსტი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე, ეს საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს.

– რა არის რუსული მხარის გააქტიურების მიზეზი?

– სხვა მიზეზებთან ერთად, არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ უკრაინაში მათი წარუმატებელი საოკუპაციო პროცესიდან გამომდინარე, შიდა აუდიტორიაზე სჭირდებოდეთ გარკვეული მედიასტრატეგია, გარკვეული პროდუქტი.

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ იმას, რომ რუსეთს უკრაინაში მოუწევს დათმობებზე წასვლა, იმიტომ, რომ მთელი საერთაშორისო საზოგადოება მაქსიმალურად მობილიზებულია უკრაინის თემაზე, სამწუხაროდ, ამ პროცესებში საქართველო გაქრა.

– რატომ გაქრა?

– თუ საქართველო ამ საკითხს არ დააყენებს ძალიან მკვეთრად, მკაფიოდ, მკაცრად, ყველა ფორმატში და არ შეეცდება, რომ მათ შორის უკრაინასთან ერთად გაკეთდეს საერთო დეოკუპაციის სტრატეგია, გაქრება. ნუ ველოდებით სხვების მხრიდან, რომ ისინი წამოწევენ ჩვენს პრობლემატიკას და ისინი ისაუბრებენ ამ პრობლემებზე.

რუსეთს მოუწევს დათმობებზე წასვლა უკრაინასთან და რუსული აუდიტორიისთვის მას სჭირდება რაღაც საპირწონე. არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამ სტრატეგიის ნაწილი იყოს, რომ საქართველოში გადადგმული ამ ნაბიჯებით, მათ გარკვეულწილად დაბალანსონ სიტუაცია შიდა აუდიტორიაზე, რომ უკრაინაში თუ არა, სამაგიეროდ წარმატება მაქვს საქართველოში და ასე შემდეგ.

– გაგრძელდება ეს პოლიტიკა?

– რა თქმა უნდა, გაგრძელდება და იქნება უფრო აქტიური, სანამ საერთაშორისო კუთხით ჩვენი ხელისუფლება არ იქნება გაცილებით უფრო აქტიური და არ იქნება სტრატეგია.

– დღეს ეს სტრატეგია არ ჩანს?

– არა. მოვუწოდებ „ქართულ ოცნებას“, რომ საერთო სტრატეგია გავაკეთოთ პოზიცია-ოპოზიციამ. ეს ხომ არის თემა, ოკუპაცია, რომელიც ყველას გვაერთიანებს! გარდა უკვე შულავერის კომიტეტისა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში პატრიოტთა ალიანსის სახით. ისინი ყველაფერზე ხელს აწერენ! მათი ქმედება ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია!

– ხელისუფლება აცხადებს, რომ პატრიოტთა ალიანსის ქმედებებთან საერთო არაფერი აქვს. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– მე ასე არ ვფიქრობ. იმიტომ, რომ ეს პატრიოტთა ალიანსად წოდებული შულავერის კომიტეტი ყოველთვის მოქმედებდა ხელისუფლებასთან უნისონში. შესაბამისად, გარკვეული პოზიციები, ვფიქრობ, რომ შეთანხმებულია იმასთან დაკავშირებით, რაც გააკეთა პატრიოტთა ალიანსმა.

აფხაზეთში ტურისტული სეზონი ჩავარდა?

რისკენ მოუწოდებს ტუროპერატორებს როსტურიზმი

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში მძიმე კრიმინოგენური ფონი და პოლიტიკური დაძაბულობა ყოველ ზაფხულს შეინიშნება. მიუხედავად ამისა, საკურორტო სეზონზე აფხაზეთში დამსვენებლები და ტურისტები მაინც ჩადიოდნენ. აფხაზეთის ტურიზმის სფეროს რუსეთი აცოცხლებს, მაგრამ ბოლო დროს ამ რეგიონში ისეთი მოვლენები მოხდა, რომ ტურისტულ სეზონს ჩავარდნა ემუქრება.

რუსეთის ტურიზმის სააგენტომ, როსტურიზმმა მოუწოდა ტუროპერატორებს, შეატყობინოს თავის კლიენტებს აფხაზეთში ყოფნის რისკების შესახებ.

ამის საბაბი გახდა 11 ივლისს გუდაუთის რაიონში მომხდარი დანაშაული – შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა დამსვენებელი, რუსეთის მოქალაქე ანდრეი კაბანოვი.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მილიონი რუბლის ჯილდო დააწესა იმათთვის, ვინც მიაწვდიდა ინფორმაციას თავდამსხმელების ადგილსამყოფელზე.

ბოლო მონაცემებით, თავდასხმის მონაწილეები დააკავეს. პროკურატურა მათ რაოდენობას არ ასახელებს.

აფხაზეთის მთავრობამ დაზარალებულის ოჯახს კომპენსაციის სახით 500 ათასი რუბლი გადაუხადა და თავისი ხარჯებით ცხედრის რუსეთში გადასვენებას დაჰპირდა.

აფხაზეთში რუსი ტურისტების მოზღვავება უკვე გამორიცხულია, მით უმეტეს, რომ შეშფოთება მომხდარზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გამოხატა. ამ უწყებამ იმედი გამოთქვა, რომ აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოები ამ ფაქტს უახლოეს ხანში გამოიძიებენ და დამნაშავეებს პასუხისგებაში მისცემენ.

საქმის გამოძიებაში ჩაერთო რუსეთის საგამოძიებო კომიტეტიც.

რუსეთიდან ჩამოსულ დამსვენებლებს აფრთხილებს სოხუმში გახსნილი ე.წ. რუსეთის საელჩო.

ფაქტობრივი საელჩო მოუწოდებს რუსეთის მოქალაქეებს, მოერიდონ უკაცრიელ, იზოლირებულ ადგილებს, თავი შეიკავონ კონფლიქტებისგან ადგილობრივ მოსახლეობასთან, უყურადღებოდ არ დატოვონ ბავშვები და პირადი ნივთები.

ელჩი სემიონ გრიგორიევი აცხადებს, რომ რუსი ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა აფხაზეთის ხელმძღვანელობის პრიორიტეტული ამოცანაა.

– თუ ეს სახიფათო ტენდენცია შენარჩუნდება, რუსეთის მხარე გადადგამს დამატებით ნაბიჯებს, – აღნიშნავს რუსეთის წარგზავნილი.

მომხდარს გამოეხმაურა აფხაზეთის პარლამენტი, რომელმაც გააკრიტიკა შინაგან საქმეთა სამინისტრო. დეპუტატებმა მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს, მიიღონ ზომები წესრიგის დასამყარებლად.

– დაბალი ხელფასები და არადამაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის მოშლის ერთადერთი მიზეზი, – ნათქვამია კანონმდებლების განცხადებაში.

წესრიგის დამყარებისა და მძიმე კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორებისაკენ აფხაზეთის ხელმძღვანელობას ოპოზიციამ ამ თავდასხმამდე მოუწოდა. „ამცახარამ“ განაცხადა, რომ ხაჯიმბა აფხაზეთს ვერ მართავს.

ოპოზიციის მოწოდებების შემდეგ კრიმინოგენური ფონი აფხაზეთში უარესად დამძიმდა. ტურისტული სეზონის დასაწყისში ჩამოსულ დამსვენებლებს ადგილობრივი ავტოინსპექტორებიც ავიწროებდნენ. მინისტრის ბრძანებით, რუსეთის ნომრებიანი მანქანების გაჩერება აიკრძალა. ამას ბევრი საგზაო პოლიციელის სამსახურიდან წასვლა მოჰყვა.

ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ბევრ სფეროში კრიზისია, რომლის მოგვარებასაც საოკუპაციო რეჟიმი ვერ ახერხებს.

რუსული ოკუპაცია იან კელიმაც გააპროტესტა

შორენა მარსაგიშვილი

14 ივლისს საზოგადოების ნაწილმა რუსული ოკუპაცია გააპროტესტა. გორის რაიონის სოფელ ბერშუეთთან მდუმარე აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებს საქართველოში აშშ-ის ელჩი იან კელიც შეუერთდა.

ის პირადად ჩავიდა გორის რაიონში. რუსული ოკუპაცია მან სოფელ ყარაფილაში, იმ ადგილას გააპროტესტა, სადაც ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერია აღმართული.

– ეს ადგილი ახლოს არის ქვეყნის ცენტრალურ მაგისტრალთან, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. 21 საუკუნეში ტერიტორიული მთლიანობის ასეთი უხეში დარღვევა მეზობლის მიერ მიუღებელია. ამერიკის შეერთებული შტატები ამაზე საუბარს გააგრძელებს და ხმას აღიმაღლებს. მიუღებელია საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ცალმხრივად შეცვლა. ამერიკა ამას არასოდეს აღიარებს. ეს არის საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა, – აღნიშნა ამერიკის ელჩმა.

აქციის მონაწილეებმა სოფელ ბერშუეთთან საქართველოს ჰიმნი შეასრულეს და დაამონტაჟეს ბანერი შემდეგი წარწერით: „არა ოკუპაციას! სახელმწიფო საზღვრამდე (როკის გვირაბი) 101 კილომეტრია!“

აქციის მონაწილეების განცხადებით, მათი მიზანია საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მიპყრობა და საქართველოს ხელისუფლების გამოღვიძება. ეს უკანასკნელი, აქციის მონაწილეების თქმით, ვალდებულია, პრობლემის აღმოსაფხვრელად ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ფიქრობდა, რომ აქციაზე უფრო ბევრი ხალხი მივიდოდა. ის ელოდა, რომ მათ პროტესტს სასულიერო პირებიც შეუერთდებოდნენ.

– მეგონა, აქციაზე ის სასულიერო პირებიც იქნებოდნენ, გეიაღლუმებს რომ ტაბურეტებით აპროტესტებენ. არადა, გეიაღლუმები საქართველოში არ ტარდება. აი, რუსული ოკუპაცია ყოველდღე გვახსენებს თავს. სამწუხაროა, რომ ამის გასაპროტესტებლად ვერ მოიცალეს.

მივმართავ ერსაც, ბერსაც და მთავრობასაც: ნუ დაუჯერებთ ანდაზას, დათვი რომ მოგერევა, ბაბაია უნდა დაუძახოო. ბაბაიას ძახილმა რუსეთი სულ გაათავხედა. იმას არ გთხოვთ, რომ რუსს შეაკვდეთ, მაგრამ ღირსეული განცხადება მაინც გააკეთეთ და გიორგი ანწუხელიძის საფლავს ნუ გადააბიჯებთ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მეგი გოცირიძემ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა საზოგადოების რეაქციით კმაყოფილია. ის ეჭვობს, რომ მალე საზოგადოება საპროტესტო აქციას მთავრობის ადმინისტრაციასთან გამართავს.

– საქართველოს უბედურება დღეს იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება უფრო ადეკვატურად რეაგირებს რუსულ აგრესიაზე, ვიდრე ხელისუფლება. კარგია, ქართველი ხალხი თუ ასე გააპროტესტებს რუსეთის ქმედებებს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება არ გაიღვიძებს, ბოლოს ეს გაპროტესტდება არა აქ, არამედ კანცელარიასთან, – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

სხვათა შორის, აქციაზე იყო ასეთი მოწოდებებიც, რომ გორიდან პირდაპირ ივანიშვილის რეზიდენციისკენ დაძრულიყვნენ და იქ გაეპროტესტებინათ ოკუპაცია.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე მიიჩნევს, რომ ამ თემაზე აქტიურობა არ უნდა შეჩერდეს. მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოებას მუდმივად უნდა შევახსენოთ, რომ რუსეთი ოკუპანტია.

ის სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე დღეს საერთაშორისო თანამეგობრობა აღარ საუბრობს.

ხელისუფლების უმოქმედობაზე ისაუბრეს აქციის სხვა მონაწილეებმაც. ყველა მათგანი აცხადებდა, რომ აუცილებელია, ხელისუფლება აიძულონ, ოკუპაციაზე სათანადო რეაგირება მოახდინოს.

ხელისუფლებას კი ამ აქციაზე ძალიან მწვავე რეაქცია ჰქონდა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ტვ პირველის ეთერში აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ აქციის მონაწილეებმა ერს კონსოლიდაციისკენ მოუწოდეს.

მისი თქმით, ეს აქცია არანაირ შედეგს არ გამოიღებს, რადგანაც მსოფლიომ ისედაც იცის, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული.

რატომ გაიზარდა უძრავი ქონების თვითღირებულება?

– ქართველები დოლარში აზროვნებას მიჩვეულები ვართ, – ასეთ განცხადებას „კომერსანტთან“ სამშენებლო კომპანია „არსის“ აღმასრულებელი დირექტორი ლარში ფასდადების პირველი შედეგების კომენტირებისას აკეთებს. როგორც ცნობილია, დედოლარიზაციის სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, დეველოპერულ კომპანიებს ახალი ვალდებულება 2017 წლის 1-ელი ივლისიდან გაუჩნდათ. მათ უძრავი ქონების ფასდადება ლარში დაიწყეს.

აბულაძე განმარტავს, რომ ლარში ფასდადებას უძრავ ქონებაზე და მის ფასზე გავლენა არ მოუხდენია. მისი თქმით, საინტერესოა იმ დეველოპერების არგუმენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ ლარში ფასდადებამ მათი ქონების ღირებულება გააძვირა. მისთვის უცნობი და გაუგებარია, რა კუთხით შეიძლებოდა გაზრდილიყო უძრავი ქონების თვითღირებულება, როდესაც დეველოპერების 80-85 პროცენტს ხარჯი ლარში აქვს.

– ჩვენმა კომპანიამ 2015 წელს განვაცხადეთ კიდეც ის, რომ ლარის სტაბილიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი მენტალიტეტია. შესაბამისად, მშენებლებმა ლარში აზროვნება უნდა დავიწყოთ და ფასწარმოქმნა ლარში უნდა ვაწარმოოთ. ეს რომ იყოს საიმპორტო სფერო, სხვა შედეგი იქნებოდა, – აცხადებს აბულაძე.

კითხვაზე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სამშენებლო კომპანიების უდიდესი ნაწილი, მაგალითად, იმპორტირებულ არმატურას მოიხმარს, ასეთ პირობებში გაიზრდება თუ არა თვითღირებულება, აბულაძე განმარტავს, რომ არმატურის ღირებულება დოლარზე მიბმული არ არის, ის მსოფლიო ბაზარზეა დამოკიდებული. „მაგალითად, 2007 წელს არმატურის ფასი 700 დოლარიდან 1.500 დოლარამდე გაიზარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინეთი დიდ კომპლექსს აშენებდა. ამის გამო მსოფლიოში არმატურის დეფიციტი შეიქმნა და ფასიც გაძვირდა. გარდა ამისა, უკრაინაში ყველაფერს გრივნაზე ყიდიან და ფასი გრივნაზეა მიბმული, – აცხადებს აბულაძე.

მისი განცხადებით, როდესაც ქვეყანაში დეველოპერული კომპანიების ხარჯის 80-85 პროცენტი მიბმულია ლარზე, ამაში არ იგულისხმება ის, რომ დანარჩენი 15-20 პროცენტი დოლარზეა მიბმული. აბულაძე განმარტავს, რომ დანარჩენი წილი მიბმულია ისეთ ვალუტებზე, როგორიცაა თურქული ლირა, უკრაინული გრივნა და ჩინური იუვანი.

– ამერიკიდან ჩვენ არაფერი არ შემოგვაქვს. ამის გამო არგუმენტი, რომ რაღაც გაძვირდა, ცოტა მაკვირვებს. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლარს დევალვაციის მხრივ, როგორც უკრაინულ გრივნას და თურქულ ლირას, დაახლოებით იგივე დინამიკა აქვს დოლართან მიმართებაში. შესაბამისად, იმაზე საუბარი, რომ ეს პრობლემას ქმნის, არასწორია, – აცხადებს აბულაძე.

მისი განცხადებით, დღეს პრობლემას მენტალობა ქმნის, რადგან დღეს ჩვენ ყველანი დოლარში ვფიქრობთ. აბულაძის განცხადებით, ქართველები დოლარში აზროვნებას მიჩვეულები ვართ.

ქვეყნები, სადაც საქართველოს კომერციული ატაშეები ეყოლება, ცნობილია

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელის მარიანა მორგოშიას განცხადებით, პირველ ეტაპზე კომერციული ატაშეები 6 ქვეყანაში იქნება წარმოდგენილი.

– კომერციული ატაშეები გვეყოლება თურქეთში, აშშ-ში, ევროკავშირში, გაერთიანებულ სამეფოში, გალფის ქვეყნებსა და ჩინეთში. ქვეყნების შერჩევის კრიტერიუმი კონკრეტული იყო – სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნები და ქვეყნები, რომლებთანაც თავისუფალი ვაჭრობა გვაქვს. კომერციული ატაშეების ძირითადი ფუნქცია იქნება როგორც მსხვილ შემსყიდველებთან კომუნიკაცია და კონტაქტი ჩვენი საექსპორტო პოტენციალის გაცნობის თვალსაზრისით, ასევე, საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაცნობა.

ატაშეებს მჭიდრო კავშირი ექნებათ ექსპორტის და ინვესტიციების მიმართულებასთან. მათი მხრიდანაც მოხდება ინფორმაციის მოძიება და, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდანაც იქნება კოორდინაცია, თუ რომელი კომპანიებია პრიორიტეტული იმ სექტორების და პროდუქტების გათვალისწინებით, რის ექსპორტსაც ვგეგმავთ და რა საინვესტიციო წინადადებებიც გვექნება, – განუცხადა „ანალიტიკას“ მორგოშიამ.

მისივე თქმით, კომერციულ ატაშეებს ექნებათ ყოველთვიური გეგმები, რის მიხედვითაც მათი ეფექტიანობა მკაცრად შეფასდება.

კომერციული ატაშეების პოზიციაზე კადრები ჯერ შერჩეული არაა. ახალი ინსტიტუტი მიმდინარე წლის ბოლოსთვის უნდა ამოქმედდეს.

რაც შეეხება „აწარმოე საქართველოში“ ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებას, მორგოშიას თქმით, ბიუჯეტი 1.5 მლნ ლარია. ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, საქართველოში 12 თანამშრომელი იმუშავებს, რასაც დაემატება 6 კომერციული ატაშე საზღვარგარეთ.

– თანამშრომლები ძირითადად 2 მიმართულებით იმუშავებენ, ერთი მიმართულებაა – უცხოელებთან აქტიური კონტაქტი და საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ სავაჭრო პარტნიორებთან ინფორმაციის დროული მიწოდება, ესაა ფრონტ-ოფისის მიმართულება და ასევე პორტფოლიო მენეჯერების მიმართულება ანუ უკვე აქ ჩამოსული ინვესტორები სფეროების შესაბამისად გადანაწილდებიან პორტფოლიო მენეჯრებთან და ისინი ბოლომდე მიყვებიან ინვესტორებს, რომ განახორციელონ ინვესტიციები, დაეხმარებიან სხვადასხვა ინფორმაციების მოძიებაშიც.

ასევე გვაქვს ე.წ. „აფთერ ქეარის“ მიმართულებაც, რომლის ფარგლებშიც უკვე არსებულ ინვესტორებს დავეხმარებით რეინვესტირების გაკეთებაში და ახალი ინვესტიციების განხორციელებაში, – განუცხადა „ანალიტიკას“ მარიანა მორგოშიამ.

ანაკლიის პორტის მიმდებარედ მცხოვრებ 4 ოჯახს უძრავი ქონება იძულების წესით ჩამოერთმევა

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით მიმდებარე ტერიტორიაზე 4 ოჯახის უძრავი ქონება ექსპროპრიაციას (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) დაექვემდებარება.

საუბარია, დაახლოებით 15.238 კვადრატული მეტრის ფართზე.

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ირმა ქავთარაძის 10 ივლისის ბრძანებაშია აღნიშნული, მესაკუთრეებმა უძრავი ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე უარი განაცხადეს. რისი მიზეზიც ქონების გამოსასყიდ ღირებულებაზე შეუთანხმებლობა იყო.

ბრძანების მიხედვით, მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ გამოსყიდვაზე მათი უარის შემთხვევაში სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ მათი საკუთრების ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს მიმართავდა.

მესაკუთრეებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ექსპროპრიაციის შემთხვევაში, საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ კონსტიტუციით გარანტირებულ წინასწარ, სრულ და სამართლიან ანაზღაურებას მიიღებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ექსპროპრიაციის 1-ელი შემთხვევა არ არის. წინა თვეში სამინისტრომ კიდევ 9 ოჯახის უძრავი ქონების, დაახლოებით, 14,700 კვადრატული მეტრი ფართის ჩამორთმევის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 სექტემბერს გაფორმდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შესახებ საინვესტიციო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფოს ვალდებულება – ინვესტორს ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით გადასცეს 340 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

ნავსადგურის განსახლების სამოქმედო გეგმა კი მთავრობის 2017 წლის 13 თებერვლის განკარგულებით დამტკიცდა. გეგმის შესაბამისად, პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების შესყიდვას „ქონების ეროვნული სააგენტო“, ხოლო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის პროცედურებს სააგენტოს კონტრაქტორი შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“ ახორციელებს.

საქართველოდან დაკლული ცხვრის ექსპორტი გაიზარდა

საქართველოდან დაკლული ცხვრის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე წელს 93 ათასზე მეტი სული წვრილფეხა პირუტყვის – ცხვრის ტან-ხორცია ექსპორტირებული, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელს 10-ჯერ აღემატება. 2016 წლის პირველ ნახევარში 7.500 ტან-ხორცია ექსპორტზე გატანილი.

– დაკლული ცხვრის ხორცის ექსპორტის თვალშისაცემი მატება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დაავადებებზე ზედამხედველობის გაძლიერების და იმ ღონისძიებების შედეგია, რომლებიც ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ტარდება. სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს წვრილფეხა პირუტყვის პროფილაქტიკურ და სავალდებულო ვაქცინაციებს სხვადასხვა დაავადებებზე, სისხლის სინჯების მონიტორინგსა და კონტროლს.

ეფექტიანი ვეტერინარული კონტროლის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით უკვე ფუნქციონირებს ცხოველთა ოთხი ბიოუსაფრთხოების პუნქტი. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცხოველთა სასაკლაოები მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რაც ექსპორტიორი ქვეყნებისთვის ნდობის საფუძველი გახდა.

ხორცის ექსპორტის ზრდა ხელს უწყობს დამატებითი ღირებულების შექმნას ქვეყანაში და დარგში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას, – აღნიშნა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

საქართველოდან დაკლული ცხვრის ტან-ხორცის ძირითადი ექსპორტიორები არიან ირანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ქუვეითი და ერაყი.

სახელმწიფომ კაზინო და ტოტალიზატორები დააჯარიმა

ბოლო 3 თვეში სანებართვო პირობების შეუსრულებლობისთვის სათამაშო ბიზნესის 23 სუბიექტი დაჯარიმდა.

აქედან 1 სამორინე და 4 ტოტალიზატორი იყო. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში განუცხადეს.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, ტოტალიზატორებისა და სამორინის გარდა, 16 – წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელი და 2 – სათამაშო აპარატების სალონის ნებართვის მქონე პირი დაჯარიმდა.

– 2017 წლის ბოლო 3 თვის განმავლობაში 55 შერჩევითი შემოწმება განხორციელდა. სანებართვო პირობების შეუსრულებლობისთვის სულ 23 ნებართვის

მფლობელი პირი დაჯარიმდა. კერძოდ, სამორინეს ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ შემოწმება 4-ჯერ ჩატარდა და დაჯარიმდა 1 პირი; სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ შემოწმება 10-ჯერ ჩატარდა და 2 პირი დაჯარიმდა; 20-ჯერ შემოწმდა ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელი პირები და დაჯარიმდა 4; ლოტოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ შემოწმება ჩატარდა ერთხელ; ხოლო წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ შემოწმება 20-ჯერ განხორციელდა და სულ 16 პირი დაჯარიმდა, – ნათქვამია შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორთა მხრიდან ძირითადად დაირღვა – გათამაშების პროცედურები (პრიზების რიგითობა, პრიზების რაოდენობა), გათამაშების შედეგების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვადები და ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის წესების დარღვევა. სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონისა და ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელების მიერ კი ძირითადად შემდეგი სანებართვო პირობები დაირღვა: თამაშის წესების განუთავსებლობა/არასრულად განთავსება თამაშობის ადგილას; გაცემულ მოგებათა არასრული წარმოება; ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობა/ვადის დარღვევა და სალაროს მოწყობის წესების დარღვევა (საგანგაშო ღილაკით, ჯავშნიანი მინით მოწყობა).

რაც შეეხება სანქციებს, დარღვევების გამო სამორინე – 7.000 ლარით; ტოტალიზატორები – თითოეულ შემთხვევაში 2 ათასი ლარით, სათამაშო აპარატების სალონი და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელი პირები კი – 1.000-1.000 ლარით დაჯარიმდნენ.

შოტლანდიის სამეფო ბანკი სარისკო კრედიტების გაცემისთვის 5.5 მლრდ დოლარით დაჯარიმდა

შოტლანდიის სამეფო ბანკი 5.5 მილიარდ დოლარს გადაიხდის იმის სანაცვლოდ, რომ ის ფინანსურ კრიზისამდე იპოთეკურ კრედიტებს გასცემდა. ამასთან დაკავშირებით ბანკმა უკვე გამოყო საჭირო რესურსები ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

როგორც ცნობილი გახდა, საუბარია სარისკო კრედიტების გაყიდვაზე ამერიკის იპოთეკურ გიგანტ კომპანიებზე, რომელმაც 30 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. ეს კონკრეტული შემთხვევა არის იმის გახსენება, თუ რა მოხდა ბანკში ფინანსური კრიზისის დაწყებამდე და რა რისკზე წასვლა მოუწია ბანკს გლობალური ამბიციების მისაღწევად.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი სარისკო იპოთეკის გაყიდვის გამო კვლავ აგრძელებს გამოძიებას.

შოტლანდიის სამეფო ბანკი არის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი მსოფლიოში. დიდი ბრიტანეთის მთავრობა ბანკის 73%-ს ფლობს. ცნობილი გახდა, რომ შოტლანდიის სამეფო ბანკს გამოყოფილი აქვს 5.8 მილიარდი ფუნტი სტერლინგი პოტენციური ჯარიმებისა და სამართლებრივი ხარჯებისთვის. აქედან 3.1 მილიარდი გამოყოფილია ბრალდებების მოსაგვარებლად, რაც სარისკო კრედიტების ამერიკაში გაყიდვას გულისხმობს.

კონკურენციის სააგენტო ბათუმში გარე რეკლამის ბაზარს შეისწავლის

ბათუმში გარე რეკლამის განთავსების და ამ ბაზარზე კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის საკითხებს კონკურენციის სააგენტო შეისწავლის.

მარეგულირებელმა ბაზრის ამ სეგმენტის კვლევა კომპანია „ლიბოს“ საჩივრის საფუძველზე დაიწყო.

კომპანია ბათუმის მერიის მიერ „კონკურენციის შესახებ კანონის“ სავარაუდო დარღვევის ფაქტზე აღნიშნავს.

სააგენტოს ცნობით, მომჩივანის მიერ მოპასუხე მხარეებად ასევე განსაზღვრული იყვნენ – გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელი კომპანია – შპს „აჯადი“ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო. თუმცა, ხსენებულ მოპასუხეებთან მიმართ საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საქართველოში პური ძვირდება?

ბოლო ათი დღის განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასი გაიზარდა.

თუმცა, ჩიკაგოსა და პარიზის ბირჟებზე აღმავალი ტრენდი ამ ეტაპზე შეჩერებულია. 25 ივნისიდან დაწყებული ხორბლის ფასის მატება უამინდობას უკავშირდება. როგორც მეხორბლეთა ასოციაციის დამფუძნებელი ლევან სილაგავა აცხადებს, სიტუაცია ამ ეტაპზე სტაბილურია და საერთაშორისო ბირჟებზე ხორბლის ფასის ზრდა ქართულ ბაზარზე არ უნდა აისახოს. ორი კვირაა, რაც ხორბლის აღების სეზონი საქართველოშიც დაიწყო.

პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ადგილობრივ მეწარმეებს საკმარისი მარაგები აქვთ იმისთვის, რომ საერთაშორისო ბაზარმა პურის ფასზე გავლენა სწრაფად არ მოახდინოს. თუმცა, მალხაზ დოლიძის განმარტებით, თუ ხორბლის გაძვირებას გაზის ტარიფის მატებაც დაერთო, მწარმოებლები ფასის შენარჩუნებას დიდხანს ვეღარ შეძლებენ.

საქართველოში ხორბლის იმპორტს დაახლოებით 85-90 პროცენტი უჭირავს. ქვეყანაში ხორბლის ძირითადი იმპორტიორი რუსეთია. შარშან ადგილობრივმა ფერმერებმა 200 ათასი ტონა ხორბლის მოსავალი მოიწიეს, თუმცა წისქვილებისთვის გადასამუშავებლად საჭირო ხარისხის აქედან მხოლოდ 30 ათასი ტონა იყო.

ერთი უცხოელი ვიზიტორი საქართველოში საშუალოდ 343 დოლარს ხარჯავს

წლის პირველ კვარტალში უცხოური ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 23,3%-ით გაიზარდა და 434,6 მილიონი დოლარი შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 82 მილიონით გაიზარდა.

იგივე პერიოდში საქართველოს 1,266,125 საერთაშორისო მოგზაური ეწვია. საშუალო დანახარჯმა ვიზიტორზე კი 343 დოლარი შეადგინა.

2016 წელს საქართველომ საერთაშორისო ტურიზმიდან 2.17 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო. ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ ფორბსისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გასულ წელს, ერთმა უცხოელმა ვიზიტორმა საშუალოდ 341 დოლარი დახარჯა. აღნიშნული რიცხვი არის ტურიზმიდან შემოსავლების ვიზიტორთა რაოდენობაზე გაყოფით მიღებული საშუალო მაჩვენებელი.

ტურიზმიდან შემოსავალი წარმოადგენს არარეზიდენტების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას (მათ შორის უსასყიდლოდ მიღებულისაც). ეროვნული ბანკის ცნობით, გამონაკლისს წარმოადგენს უცხოური საელჩოების, საკონსულოების და მათი უცხოელი თანამშრომლების მიერ შეძენილი საქონელი და მომსახურება ტურისტული მომსახურება ასევე არ მოიცავს საქართველოში ჩამოსვლისა და უკან დაბრუნების ხარჯებს, ის განეკუთვნება საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურებას.

ტურისტული მომსახურების შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის ძირითადი წყაროა სასაზღვრო პოლიციის მონაცემები საზღვრის კვეთის შესახებ.

– არარეზიდენტების ტურისტულ ხარჯებს ვაფასებთ შემდეგნაირად: შემოსულებისა და გასულების საშუალო არითმეტიკულს ვამრავლებთ კონკრეტული სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან შემოსული ერთი ვიზიტორის საშუალო ხარჯზე. ვიზიტორის საშუალო ხარჯის დათვლა ხორციელდება თითოეული სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიხედვით, ტურიზმის სპეციალური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, – განმარტავენ ეროვნულ ბანკში.

ტრამპი: „რატომ მოვუხსნა რუსეთს სანქციები, თუ სანაცვლოდ არაფერს მივიღებ?“

„პუტინის თეთრ სახლში მიწვევის დრო ჯერ არ დამდგარა“

დონალდ ტრამპის განცხადებით, ის თეული ცხოვრება ბიზნესით არის დაკავებული, გარიგებებს დებს და არ ესმის, რატომ უნდა მოუხსნას რუსეთს სანქციები, სანაცვლოდ თუ არაფერს მიიღებს.

– არასოდეს მოვხსნიდი რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს, ვიდრე სირიასა და უკრაინაში არ გაკეთდება რამე ისეთი, რაც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ჩვენთვის და ყველასთვის. მე კარგი გარიგებები დამიდვია, ბევრი ფული გამიკეთებია. ეს ის არის, რითიც დაკავებული ვიყავი თეული ჩემი ცხოვრება. რატომ უნდა მოვხსნა სანქციები, თუ სანაცვლოდ არაფერს მივიღებ?! – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

აშშ-მ რუსეთს სანქციები 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ დაუწესა. სანქციები რუსულ ბანკებსა და კომპანიებს, ასევე სახელმწიფო ჩინოსნებს შეეხო.

ტრამპის განცხადებით, ის რუსეთის პრეზიდენტ პუტინს თეთრ სახლში მიიწვევს, როდესაც შესაბამისი მომენტი დადგება. აღნიშნულის შესახებ პარიზში ვიზიტით მყოფმა დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა.

– მე მოვიწვევ რუსეთის პრეზიდენტს თეთრ სახლში საჭირო დროს. არ ვფიქრობ, ახლა შესაბამისი მომენტი იყოს საამისოდ, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ჟურნალისტებმა ასევე ჰკითხეს აშშ-ის პრეზიდენტს, წამოსწია თუ არა ვლადიმერ პუტინმა მასთან შეხვედრის დროს რუსეთისთვის სანქციების მოხსნის საკითხი.

– მას არ წამოუწევია სანქციების საკითხი. ჩვენ ვისაუბრეთ სანქციებზე, რომელთა დამტკიცებას კონგრესი აპირებს, მაგრამ ამ თემაზე საუბარი მოკლე იყო, – აღნიშნა ტრამპმა.

მას არ სჯერა, რომ რუსეთის პრეზიდენტი მხარს უჭერდა მას აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

– შემდეგ ჯერზე, როდესაც პუტინს შევხვდები, ვკითხავ მას: „სინამდვილეში ვის უჭერდით მხარს?“ ვინაიდან არ შეიძლია დავიჯერო, რომ მას შეეძლო, ჩემთვის მხარი დაეჭირა, – დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ბექა გოგისაშვილი

ტერაქტი იერუსალიმში

იერუსალიმში, ტაძრის მთაზე, ტერორისტებმა პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს, შემდეგ კი თავი მახლობელ მეჩეთს შეაფარეს. პოლიციელებმა მეჩეთს ალყა შემოარტყეს. მათ და ტერორისტებს შორის შეტაკება მოხდა.

ტერორისტები ლიკვიდირებულნი არიან. სროლების შედეგად დაიჭრა 3 მოქალაქე. ყველა მათგანი ჰოსპიტალიზებულია.

ევროკავშირმა პოლონეთს შესაძლოა სასამართლოში უჩივლოს

ევროკომისიამ პოლონეთის ხელისუფლებას ევროპის ეკოლოგიური კანონმდებლობის დარღვევა დასდო ბრალად. საუბარია ბელოვეჟის ტევრში ხეების განუკითხავ გაჩეხაზე. კომისიის აზრით, ეს ევროპის კანონმდებლობის დარღვევაა.

– პოლონეთის ხელისუფლებას მოვუწოდებთ, ბელოვეჟის ტევრში ხეების გაჩეხა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, – ნათქვამია კომისიის მოხსენებაში.

თუკი ევროსასამართლომ პოლონელები გაამტყუნა, მათ დიდძალი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

ლავროვი: „ჩვენ ასადს მხარს არ ვუჭერთ!“

ჩვენ სწორედ ეს არ გვინდა, – თქვა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი ასადს მხარს არ უჭერს.

– ბრალდება იმის თაობაზე, თითქოს ასადს მხარს ვუჭერთ, აბსურდია! – ამტკიცებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ლავროვმა ხაზი გაუსვა, რომ ასადი სირიის პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალია. მისი ხელისუფლებიდან ძალისმიერი მეთოდებით ჩამოშორება სირიის სახელმწიფოს დაშლას გამოიწვევს.

– გაიხსენეთ, რა მოხდა ერაყში, როცა სადამ ჰუსეინი დაამხეს! რა მოხდა ლიბიაში კადაფის დამხობის შემდეგ! სირიაშიც მსგავსი განმეორდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რა არის ათეროსკლეროზი

ეკა ირემაშვილი

ათეროსკლეროზი ქრონიკული დაავადებაა, რომლის დროსაც არტერიის კედლები სქელდება და ეშვება, სანათური ვიწროვდება და სისხლის მიმოქცევა ძნელდება.

დაავადება შუახნის და ასაკოვან ადამიანებს ემართებათ, თუმცა, არ არის გამორიცხული, ათეროსკლეროზული ცვლილებები ბავშვებსაც, ახალშობილებსაც კი აღმოაჩნდეთ.

განსაკუთრებით სარისკოა 35 წლის ზემოთ ასაკისა და სტრესის თანხვედრა. დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობით ფაქტორს. ათეროსკლეროზის განვითარებას ხელს უწყობს ზოგიერთი დაავადებაც, მათ შორის შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე, პოდაგრა, ნაღველკენჭოვანი დაავადება. დაავადების კიდევ ერთი რისკფაქტორია, მაგრამ არა უშუალო მიზეზი, ცხოველური ცხიმის ჭარბი მიღება.

ათეროსკლეროზის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ფიზიკური აქტივობის სიმცირე, ფსიქოემოციური გადაძაბვა, ნერვული სისტემის ტრავმა, ცხოვრების დაძაბული რიტმი, ხმაური, სპეციფიკური სამუშაო გარემო.

რა არის ათეროსკლეროზი, როგორ ამოვიცნოთ ეს დაავადება და როგორ მკურნალობენ საქართველოში მას? – ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ენდოვასკულარული ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სისხლძარღვთა ქირურგი გიორგი ხელაძე საუბრობს.

გიორგი ხელაძე:

– ათეროსკლეროზი სისტემური დაავადებაა, რომელიც აზიანებს ადამიანის ყველა სისხლძარღვს. უმეტესად – გულის მკვებავ სისხლძარღვებს, კორონალურ არტერიებს, პერიფერიულ სისხლძარღვებს.

– როგორ ამოვიცნოთ ეს დაავადებები?

– პირველადი სიმპტომია, როდესაც პაციენტს აღენიშნება კიდურების გაცივება, მაგალითად, თუ ერთი ქვემო კიდური უფრო ცივი ან გრილია, ვიდრე მეორე. ასეთ დროს პაციენტმა მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოიჩინოს, მიმართოს ანგიოლოგს, ჩაიტაროს გამოკვლევა, თუ იქ აღინიშნა სისხლძარღვის დახშობა, მაშინ იგეგმება რაიმე ტიპის ინტერვენცია.

დღეს უკვე იმდენად არის განვითარებული ენდოვასკულარული ქირურგია, რომ შესაძლებელია მისი დახშული სისხლძარღვის ერთი ნაჩხვლეტით სპეციალური მავთულების, კათეტერებისა და ბალონების გამოყენებით გახსნა.

პაციენტის გრილი და ცივი ფეხი და ტერფი თბება და მას არანაირი ჩივილი არ აქვს.

– კიდევ რა ჩივილები აქვთ პაციენტებს?

– შემდგომი ჩივილი არის მოძრაობის დროს. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ პაციენტს აღენიშნება დაღლილობა წვივის კუნთებში.

– რას იტყვით შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებზე?

– პაციენტები, რომლებიც დაავადებული არიან შაქრიანი დიაბეტით, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იყვნენ. აქ არჩევის მეთოდია უსისხლო ენდოვასკულარული ქირურგია. ბევრ ქვეყანაში ამ ოპერაციას ეძახიან არათუ ენდოვასკულარულ ქირურგიას, არამედ ენდოვასკულარულ თერაპიას, რადგან ძალიან მცირე ჰოსპიტალიზაციის დროს მოითხოვს. 24 საათში უმძიმესი სისხლძარღვოვანი დაავადებების მქონე ადამიანი შეიძლება მაღე გახსნილი სისხლძარღვებით დაუბრუნდეს ოჯახსა და თავის პროფესიას.

– რა გართულებები აქვს შაქრიან დიაბეტს?

– შაქრიანი დიაბეტის გართულებაა წვივის არტერიებისა და პერიფერიული სისხლძარღვების დახშობა. ამ დაავადების მქონე პაციენტებს აღენიშნებათ სუნიანი გამონადენი თითებს შორის ან თითის დისტალური ფალანგების ნეკროზი, შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე თითის გარკვეული ნაწილის განგრენა. შეიძლება ეს იყოს ინფიცირებული არსებული ჭრილობა ან მშრალი ნეკროზული პრობლემით. ასეთი პაციენტების მკურნალობას ჩვენ ვახორციელებთ კომბინირებული მეთოდით. ინფიცირებული ფეხის სისხლის მიმოქცევაში ჩართვა პრობლემის შემცველია, რადგან ინფექციამ შეიძლება განიცადოს პროგრესირება და წამოვიდეს ზემოთ. ჩვენთან კეთდება კიდურის დამზოგველი ოპერაცია ანუ არ იკვეთება უშუალოდ ფეხი, იკვეთება მხოლოდ დაზიანებული ფალანგი ან თითი და ხდება იმავე ეტაპზე დახშული სისხლძარღვების რევასკულარიზაცია ანუ ამ დაზიანებული სისხლძარღვების ნაჩხვლეტითა და ენდოვასკულარული ტექნიკით აღდგენა.

ენდოვასკულარული ქირურგია ჩვენს ცენტრში უკვე ერთი წელია, რაც სრულფასოვნად ფუნქციონირებს. ჩვენთან კეთდება ისეთი ტიპის ოპერაციები, როგორიც არის საძილე არტერიის სტენტირება მისი შევიწროების დროს, პაციენტებში, რომლებსაც ახასიათებთ გარდამავალი კოჭლობა, ადვილად დაღლა 30-50 თუ 200 მეტრის გავლის შემდგომ, რომლებსაც აღენიშნებათ წვივის უკანა კუნთებში ტკივილები. ასეთ დროს ძირითად შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით სისხლძარღვის დახშობას ან შევიწროებას, რომელიც ადრე შესაძლებელი იყო გახსნილიყო ღია მეთოდით ანუ ე.წ. შუნტირების წესით, მაგრამ თანამედროვე აპარატურამ მოგვცა საშუალება, რომ ისეთ პაციენტებში, რომლებსაც სჭირდებოდათ ოპერაცია საკმაოდ დიდი სისხლის დანაკარგითა და პოსტოპერაციული გართულებებით, ახლა გვაქვს საშუალება, მხოლოდ ერთი ნაჩხვლეტით მოვახდინოთ დახშული სისხლძარღვების აღდგენა შემდგომი ბალონური ანგიოპლასტიკით ან შემდგომი სტენტირებით.

წელიწადნახევრის განმავლობაში უსახლკაროდ რეგისტრაცია 7.415-მა პირმა მოითხოვა

წელიწადნახევრის განმავლობაში უსახლკაროდ რეგისტრაცია 7.415-მა პირმა მოითხოვა, დაკმაყოფილდა – 8, – ამის შესახებ ინფორმაცია საკრებულოს დეპუტატმა გულიკო ზუმბაძემ გაავრცელა. დეპუტატი მიმართავს ხელისუფლებას, შეიქმნას თბილისის მერიაში უსახლკაროთა პოლიტიკის მიმართულებით მუშაობის სპეციალური კომისია, რომელშიც ყველა უწყების წარმომადგენელი იქნება და რომლებიც შეიმუშავებენ გარკვეულ პოლიტიკას საბინაო პრობლემის დაძლევისთვის.

– მერიას უსახლკაროდ რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა 7.415-მა პირმა. სრულყოფილი დოკუმენტაცია წარმოადგინა 6.015-მა პირმა. მერიამ განიხილა 1.431 განაცხადი, დადებითი გადაწყვეტილება მიიღო 500-ზე. სამწუხაროდ, განხილული 1.431 განაცხადიდან მხოლოდ და მხოლოდ 34 ოჯახზე გაიცა განკარგულება შესახლებაზე სოციალურ საცხოვრისში და ჯერჯერობით მხოლოდ რვა ოჯახია შესახლებული. ციფრები მიუთითებს, რომ 7.000 მიმართვიდან ჯერჯერობით მხოლოდ რვა ოჯახია დაკმაყოფილებული წელიწადნახევრის განმავლობაში. უნდა ითქვას, რომ პრობლემა მასშტაბურია, – განაცხადა გულიკო ზუმბაძემ.

მისი თქმით, პრობლემა ძალიან რთულია და ამ საკითხზე გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული.

თბილისის საჯარო ბაღებში 11.000-ზე მეტი აღსაზრდელია რეგისტრირებული

თბილისის საჯარო ბაღებში, ბოლო მონაცემებით, 11.000-ზე მეტი აღსაზრდელია რეგისტრირებული, – ამის შესახებ თბილისის მერია იუწყება. როგორც მერიაში აცხადებენ, თბილისის საბავშვო ბაღებში 2017-2018 საყოველთაო რეგისტრაციის მეორე ეტაპი დღეს 14 ივლისს, 13:00 საათზე დაიწყო და ტექნიკური შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს.

– ბოლო მონაცემებით, პირველ და მეორე ეტაპზე დარეგისტრირებულია 11.000-ზე მეტი აღსაზრდელი, ხოლო ვაკანტური რჩება 1.300-ზე მეტი ადგილი.

ახალი სააღმზრდელო წლის დაწყებამდე კი საბავშვო ბაღებში არსებული სათათბირო ორგანოების მეშვეობით, მოხდება იმ აღსაზრდელთა დარეგისტრირება, რომელთა რეგისტრაციაც ვერ მოხერხდა ელექტრონულად. ამისათვის, მშობლებმა განცხადებით უნდა მიმართონ კონკრეტული საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას. რეგისტრაციაში ასევე ჩართულია 5 ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც სექტემბერში გაიხსნება და 1.500-ზე მეტ აღსაზრდელს მიიღებს, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

„ვერტიკალური პარკირების მექანიზმზე 40-მდე პოტენციური შეკვეთა მივიღეთ“

ვერტიკალური პარკირების მექანიზმის ორმოცამდე პოტენციური შემკვეთი არსებობს. ამის შესახებ „ბინზესპრესნიუსს“ პროექტის ავტორმა მალხაზ ცისკარიშვილმა განუცხადა. მისივე თქმით, ამ ეტაპზე მერიასთან შეთანხმების პერიოდი მიმდინარეობს, საიდანაც მოწყობილობის ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტს ელოდებიან. როგორც მალხაზ ცისკარიშვილი ამბობს, დაკვეთის მსურველები კერძო ბიზნესის წარმომადგენლები არიან. მოთხოვნა 4-10-ადგილიან ვერტიკალური პარკინგის მექანიზმზეა.

– ორმოცი პოტენციური შემკვეთი არსებობს, რომლებიც ელოდებიან მოწყობილობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ დადგენილებას. დამკვეთები კერძო ბიზნესის წარმომადგენლები არიან. ზოგს კერძო ეზო აქვს საკუთრებაში, ზოგს ბიზნესის წამოწყება სურს ამ კუთხით. თითოეული მათგანი სხვადასხვა რაოდენობის კონსტრუქციას გვიკვეთავს, ზოგს ათი უნდა, ზოგს ორი. ეს ორმოცივე მსურველი თბილისიდან არის, თუმცა დაკვეთის სურვილი ბათუმიდანაც გამოთქვეს. ბათუმიდან იყვნენ ჩამოსულები და მითხრეს, რომ 50-60 ცალი შეიძლება დასჭირდეთ, იმიტომ, რომ თურმე ბათუმში პარკირების ძალიან დიდი პრობლემაა. ზოგადად ბიზნესისთვის ვისაც სურს, ყველას 8-10 -ადგილიანი ვერტიკალური პარკინგის შეკვეთა სურთ, კერძო პირებს 4-ადგილიანიც უნდათ, – განაცხადა მალხაზ ცისკარიშვილმა „ბინზესპრესნიუსთან“ საუბრისას.

მისივე თქმით, მხოლოდ თბილისს ამ ეტაპზე ვერტიკალური პარკირების 1 000 ცალი მექანიზმი სჭირდება, ბათუმს კი 500-600 ცალი. როგორც მალხაზ ცისკარიშვილმა განაცხადა, 1.500 კონსტრუქციის დამზადებით ათასობით ადამიანი დასაქმდება.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ფრანკ რიბერი: „მოგება თითოეულ თამაშში“

მიუნხენის ბაიერნისა და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ფრანკ რიბერი 10 წელია ბავარიულ კლუბში თამაშობს. გერმანულ გრანდში რიბერიმ ტიტულები უხვად მოიგო და ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

გთავაზობთ ინტერვიუს ფრანგ ფეხბურთელთან.

– სულ რამდენიმე დღის წინ ვიდეო გამოაქვეყნე, სადაც შენმა ოჯახმა ბავარიაში 10 წლის იუბილე მოგილოცა და ტორტი გაჩუქა.

– ეს მშვენიერი სიურპრიზი იყო! სახლში მივედი და იოტისოდენა ეჭვიც კი არ მქონდა იმის, თუ რას მიმზადებდნენ. ამან ძალიან დადებითად იმოქმედა ჩემზე. ჩემი მეუღლე და შვილები ჩემს ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ. ისინი ყოველთვის გვერდით მედგნენ, განსაკუთრებით მძიმე პერიოდებში.

– ალბათ, ისინიც მეტად ამაყნი არიან, რომ 10 წელი მიუნხენში გაატარეს.

– ჩემი ოჯახი მიუნხენში ბედნიერია. მათ მოსწონთ ბავარია, მოსწონთ აქაური ხალხი. 10 წელი... ეს წარმოუდგენელია! როდესაც ჩვენ აქ ახალი გადმოსულები ვიყავით, ვერც კი ვიფიქრებდით, რომ ამდენი ხანი შემოვრჩებოდით. ახლა კი ბაიერნი და რიბერი უკვე ცოლ-ქმრის წყვილივით გახდა.

– 10 წლის განმავლობაში რა არ მომხდარა. პირველი რა გახსენდება, როდესაც აქ გატარებულ დროს იხსენებ?

– „საჩემპიონო ტრებლის აღნიშვნა 2013 წელს რატუშის აივანზე. ამ მომენტამდე, ხომ ჩვენ 2 ჩემპიონთა ლიგის ფინალი წავაგეთ. ყველა წაგება მეტად სევდიანი იყო, ჩვენთვის არასოდეს ყოფილა იოლი. მით უფრო მშვენიერია ამ ტიტულის მოგება და გამარჯვების სიხარულის გულშემატკივრებთან ერთად გაზიარება.

– ამ 10 წლის განმავლობაში შენ არა მხოლოდ მინდორზე იყავი წარმატებული არამედ, ხშირადაც გამასხრებიხარ თანაგუნდელებს. უჭრიდი გეტრებს, შაქარსა და მარილს ადგილს უნაცვლებდი, ავტობუსს ეპატრონებოდი. რომელი მათგანი დაგამახსოვრდა უფრო მეტად?

– როდესაც ჩვენ ოლივერ კანს წყალი გადავასხით ზემოდან, ეს ხომ ჩემი პირველი სეზონი იყო კლუბში.

– ამ ხუმრობაზე კანის რეაქციის არ შეგეშინდა?

– როდესაც მე მარსელიდან მიუნხენში გადმოვედი, უკვე მაშინ ძალიან დიდ პატივს ვცემდი ოლივერს. ის უკვე გამოჩენილი პიროვნება და კლუბის ლეგენდა იყო. ამასთან, ოლი ასევე მოკრძალებული პიროვნებაა, რომელსაც ყველაფერი ესმის.

– შენ თუ გაგხუმრებია ვინმე?

– ეს ბევრს გაუკეთებია: დავიდ ალაბას, რაფინიას, დანიელ ვან ბუიტენს... და საერთოდ, ყველა ხუმრობა, არა აქვს მნიშვნელობა ჩემი იყო, თუ ჩემი პარტნიორების დადებითად მოქმედებდა გუნდის ატმოსფეროზე. ახლა უფრო ნაკლებად ვეხუმრები ვინმეს. მაგრამ, თუ ხუმრობა მოხერხდა, ეს გასახდელშიც და მოედანზეც კი იგრძნობა.

– 2007 წლის ივნისში შენ, როგორც ახალწვეული, ისე წარგადგინეს გუნდში. როგორი იყო პირველი შთაბეჭდილებები?

– მაშინვე შევამჩნიე, რომ ბაიერნმა ახალ დონეს მიაღწია. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, კლუბმა მშვენივრად იზრუნა ჩემზე და ჩემს ოჯახზე. თავიდანვე კომფორტულად ვიგრძენი თავი, თუმცა, ურთიერთობა თავიდან გამიჭირდა, რადგან მაშინ გერმანულად ჯერ არ ვლაპარაკობდი.

– რამდენად მნიშვნელოვანი იყო გერმანული ენის შესწავლა?

– აუცილებელიც. ენა – უდიდესი დახმარებაა. გერმანულად ლაპარაკის უნარი კი, ყველაფერს აადვილებს.

– როგორ შეიცვალა ბაიერნი უკანასკნელ 10 წელიწადში?

– ჩემს პირველ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაზეც კი არ ვთამაშობდით, მხოლოდ უეფას თასზე. ბავარია მაშინაც დიდი კლუბი იყო, მაგრამ ახლა უფრო ზედა საფეხურზე ავიდა. ძალიან მოხარული ვარ იმით, თუ რამდენს მივაღწიეთ ამ ხნის განმავლობაში. გარკვეულწილად მეც დავეხმარე გუნდს ზედა საფეხურზე ასვლაში. თავის მხრივ, ბაიერნმაც დიდი როლი შეასრულა როგორც ფეხბურთელის ჩემს განვითარებაში. კავშირი ჩემსა და კლუბს შორის – ეს რაღაც განსაკუთრებულია.

– როდის შეამჩნიე, რომ ეს კავშირი განსაკუთრებულია?

– სწრაფადვე. 2 თუ 3 თვის შემდეგ. უკვე თავიდანვე ჩანდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვესადაგებოდით.

– შენ ხომ მაშინვე გახდი საზოგადოების ფავორიტი.

– ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო გულშემატკივარი. ბაიერნი – ეს დიდი ოჯახია და გულშემატკივარიც ამ ოჯახის ნაწილია. მათ ჩვენთან ერთად უხარიათ და ჩვენთან ერთად სწყინთ. ვარჯიშებზე მუდმივად ბევრი ხალხია, ზოგი კი 1 საათით ადრეც კი მოდის სანამ ჩვენ მოედანზე გამოვალთ. ისინი ათეულ და ასეულ კილომეტრებს გადიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გვნახონ. ამიტომ, ჩვენთვისაც მეტად მნიშვნელოვანია მათთვის 10-15 წუთი გამოვნახოთ ავტოგრაფისათვის. მაშინ სახლში ისინი ბედნიერები დაბრუნდებიან.

– შენ მხოლოდ 7 თამაშის ჩატარება გაკლია, რომ ხასან სალიხამიჯს გადაასწრო და ლეგიონერებს შორის რეკორდსმენი გახდე კლუბში ჩატარებული თამაშების რაოდენობით. რას ნიშნავს ეს შენთვის?



– ძალიან მიხარია, რომ ამდენი მატჩი ჩავატარე ბავარიაში. მაგრამ მსურს უფრო მეტი ვითამაშო და მეტი ტიტული მოვიპოვო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ახლა მე ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი ვარ გასახდელში და რომ მე ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი ვარ კლუბის ისტორიაში. ეს სიზმარს ჰგავს.

– კიდევ 12 თამაში ბუნდესლიგაში და თქვენ ული ჰაინესსაც გაასწრებთ...

– მხოლოდ 12? ალბათ, მე მწვრთნელს უნდა დაველაპარაკო, დამრთავს თუ არა ნებას ამ 12 თამაშის ჩატარების. მაგრამ თუ ეს მოხდება, მე ულის ოფისში ვეწვევი და ვეტყვი – ძალიან ვწუხვარ, მეგობარო... ეს ხუმრობით... სერიოზულად კი, ეს ძალიან მაგარია!.

– ახლა შენ უკვე ფრანც ბეკენბაუერთან, ლოთარ მათეუსთან, ფილიპ ლამთან და ბასტიან შვაინშტაიგერთან ერთად გაყენებენ.... როგორია, ბაიერნის ლეგენდად გრძნობდე თავს?

– ძალიან მოხარული ვარ ამის. განსაკუთრებით, რომ ასეთი პატივი უცხოელს არგეს. თუმცა, მე აქ უკვე თავს გერმანელად ვგრძნობ. ჩემი და ჩემი ოჯახის მენტალიტეტი უკვე გერმანულია. ჩვენ მართლაც რომ აქ ფესვები გავიდგით.

– დავუბრუნდეთ აწმყოს... როგორი იყო შენი პირველი ვარჯიშის დღეები შვებულების შემდეგ?

– ყველაფერი მშვენივრად იყო. გასაგებია, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა, მაგრამ ახალგაზრდულის ფეხბურთელები, რომლებიც ახლა ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ, მათაც მაღალი კლასი გააჩნიათ. ჩინეთის ტურნეს შემდეგ მთლიანად შეიკრიბება გუნდი და მჭიდროდ დავიწყებთ მუშაობას, პირველი ოფიციალური მატჩისთვის.

– როგორია ფილიპ ლამისა და ხაბი ალონსოს გარეშე გასახდელსა და მოედანზე?

– სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ მათი არ ყოფნა ჯერ განსაკუთრებულად ვერც შევამჩნიეთ, რადგან ჯერ მთლიანი გუნდი არ შეკრებილვართ. მაგრამ, ვფიქრობ, როდესაც ყველას სახეზე ვიხილავთ, მაშინ გაჩნდება კითხვები: სადაა ფილიპი? ხაბი?

– ბაიერნში შენს პირველ საკარჯიშო ბანაკში ყოფნისას განაცხადე, რომ ფეხბურთი შენთვის სიამოვნებაა და არა გამოცდაა. შეიცვალა თუ არა რამე 10 წლის შემდეგ?

– დღეს უკვე ყველაფერი სხვაგვარადაა, მე უკვე 34 წლის ვარ. ჩემი სხეულიც უკვე სხვანაირია. ამ დრომდე მე არასოდეს არ დამჭირვებია მასაჟი და გაჭიმვები. ახლა კი ეს ჩემთვის უბრალოდ აუცილებელია ყოველი ვარჯიშის შემდეგ. ვარჯიშამდე 20 წუთით ადრე კი ჩემს სხეულს გამართვა სჭირდება. ეს უბრალოდ უნდა მიიღო, ამის გარეშე შეუძლებელია.

– როდესაც პირველად მიუნხენში მოხვედი, ვილი სანიოლთან თამაში მოგიხდა. ახლა ვილი გუნდში მწვრთნელის ასისტენტის რანგში დაბრუნდა. როგორი იყო თქვენი შეხვედრა?

– ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა. ვილის უზარმაზარი გამოცდილება აქვს, მან ძალიან კარგად იცის ბავარია და შესანიშნავად ერკვევა ფეხბურთში. მოხარული ვარ, რომ ის კვლავ ჩვენთანაა.

– ბაიერნის ფრანგულ დიასპორას კიდევ ერთი ფრანგი შეემატება კორენტინ ტოლისოს სახით. შეგიძლია მოგვიყვე რაიმე საინტერესო მის შესახებ?

– მას ჯერ არ ვიცნობ და ჩვენ არასოდეს არ შევხვედრილვართ ერთმანეთს პირადად. მაგრამ მსმენია, რომ კარგი ფეხბურთელია. ის ჯერ სრულიად ახალგაზრდაა და მისი ბაიერნში გადმოსვლა წინ გადადგმული ნაბიჯია. სხვა კლუბი, სხვა ქვეყანა, სხვა ცხოვრება... მას აუცილებლად დავეხმარები აქაურობის ათვისებაში.

– რა ელოდება მას ბავარიაში?

– განსაკუთრებული მენტალიტეტი, რომელიც საფრანგეთისაგან განსხვავებულია. მან ეს სწრაფად უნდა გაითავისოს. ის სწრაფად უნდა მოერგოს გუნდს და კარგად იმუშაოს მოედანზე.

– რა ხდის ბაიერნის მენტალიტეტს ასეთ განსაკუთრებულს?

– შენ თუ ბავარიაში მიდიხარ, უნდა იცოდე, რომ აქ ყოველთვის უნდა გაიმარჯვო. შენს გონებაში მხოლოდ ეს უნდა იყოს: მოგება, მოგება, მოგება! თითოეულ თამაშში! თუ შენ ოთხშაბათს მოიგე, მომდევნო დღეს ამ მოგების შესახებ უკვე უნდა დაივიწყო. კვირას კვლავ მობილიზებული უნდა იყო, მზად უნდა იყო ყველაფერი გაიღო კლუბისთვის, გულშემატკივრებისათვის და კვლავ მოიგო.

– ბაიერნთან ერთად ყველაფერი მოიგე, ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი იყავი. რა მიზნებს ისახავ მომავალში?

– მსურს, უბრალოდ, კვლავ სიამოვნება მივიღო თამაშისაგან. კარგი იქნებოდა კარგი სეზონი ჩამეტარებინა, მოვიგო ჩემპიონატი და გერმანიის თასი. ჩემპიონთა ლიგა – კიდევ ერთი ჩემი ოცნებაა.

– საიდან მოგდევს ეს დაუცხრომელი მოგებების წყურვილი?

– ეს ჩემი მენტალიტეტია. მე ყოველთვის მოწყურებული ვიყავი გამარჯვებებზე. როდესაც მოედანზე ვიმყოფები, ვარჯიშზეც კი, ყოველთვის მსურს გამარჯვება. ამის თქმა არ შემიძლია: მე ბუნდესლიგა 7-ჯერ მოვიგე, გერმანიის თასი 5-ჯერ და მიმიფურთხებია თუ რა იქნება მომავალში. არა! მომავალში არ მინდა ვინანო, რომ 100 პროცენტით არ დავიხარჯე, როდესაც ამის გაკეთება შემეძლო.

– ამ სეზონში შენ გერმანიის ჩემპიონი შეგიძლია 8-დ გახდე, ისევე როგორც ოლივერ კანი, ფილიპ ლამი, ბასტიან შვაინშტაიგერი და მეჰმეთ შოლი.

– შესანიშნავი იქნებოდა, თუმცა ეს ჯერ უნდა მოიპოვო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ფლორიდელმა გველებზე მონადირემ ოთხმეტრიანი პითონი მოკლა

ამერიკელმა გველებზე მონადირე დასტინ კრამმა ოთხმეტრიანი ვეფხვისებრი პითონი მოკლა, რომელსაც მუცელში 73 კვერცხი აღმოაჩნდა.

კრამი შედის იმ მონადირეთა ჯგუფში, რომელიც სამხრეთ ფლორიდის წყლის რესურსების დეპარტამენტმა პითონების გასანადგურებლად შექმნა და რომლებიც ევერგლეიდის ეროვნულ პარკში ბინადრობენ. ოთხმეტრიანი მდედრის გარდა, კრამმა კიდევ ოთხი მომცრო ზომის გველიც მოინადირა.

– პრობლემა მდგომარეობს იმ სისწრაფეში, რომლითაც მრავლდებიან ვეფხვისებრი პითონები, – განაცხადა კრამმა. მისი თქმით, გველების მიერ დადებული დიდი რაოდენობით კვერცხები პოპულაციის ფეთქებად ზრდას იწვევს.

– რაც შეიძლება ბევრი უნდა გავანადგუროთ, ვინაიდან ისინი დიდი ზიანს აყენებენ ჩვენ ადგილობრივ ცხოველებს, ადგილობრივი მტაცებლების საკვების წყაროს ანადგურებენ, – განმარტა მონადირემ.

კრამი ყოველ მოკლულ პითონში, რომლის სიგრძე 1,2 მეტრამდე აღწევს, 40 დოლარს იღებს, ხოლო ყოველ დამატებით 30 სანტიმეტრზე 25 დოლარი ემატება. გარდა ამისა, მონადირის მუშაობის ყოველი საათი შტატს 8,1 დოლარი უჯდება.

თურქმა ცხვრებმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს

თურქეთის პროვინცია ვანში 80-მა ცხვარმა „მასობრივი თვითმკვლელობა“ განახორციელა. ამ ინფორმაციას სი-ენ-ენ-ის თურქეთის განყოფილება ავრცელებს.

ინციდენტი მურადიეს მთაგორიან რაიონში მოხდა. მწყემს ერკან ოზერის თქმით, ის ფარას მდელოზე აძოვებდა, როდესაც ერთ-ერთი ცხვარი კლდიდან გადახტა, შემდეგ მას კიდევ 79 ცხვარი მიჰყვა უკან.

– ყოველი გადავარდნილი ცხვრის დანახვაზე ვცდილობდი, დანარჩენები შემეჩერებინა, რომლებიც ასევე გადახტომას აპირებდნენ, – განუცხადა მწყემსმა ჟურნალისტებს. უცნობია, თუ რამდენის გადარჩენა შეძლო.

დაღუპული ცხოველების ერთ-ერთმა პატრონმა განაცხადა, რომ ადგილობრივებს, რომლებმაც ცხვრები დაკარგეს, ხელისუფლების დახმარების იმედი აქვთ. თუ რა გახდა ცხოველების ასეთი ქცევის მიზეზი, უცნობია.

ინდური ავიაკომპანია მთლიანად ვეგეტარიანული მენიუსთვის გააკრიტიკეს

ავიაკომპანია ეირ ინდია მთლიანად ვეგეტარიანულ მენიუზე გადასვლის გამო გააკრიტიკეს. ამ ინფორმაციას ნიუ იორკ თაიმსი ავრცელებს.

კვირის დასაწყისში საჰაერო გადამზიდავმა გამოაცხადა, რომ ეკონომკლასის მგზავრები შიდა რეისებზე მხოლოდ ვეგეტარიანულ კერძებს მიიღებენ. ასეთი გადაწყვეტილება ხარჯების შესამცირებლად იქნა მიღებული.

ამას სოციალურ ქსელებში მძაფრი რეაქცია მოჰყვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინდოელთა უმრავლესობა ვეგეტარიანელია, მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი უმცირესობა, მაგალითად, მუსლიმანები, ხორცს მიირთმევენ, ამიტომ ავიაკომპანიის გადაწყვეტილება ბევრმა საკუთარ კომენტარებში „დისკრიმინაციად“ შეაფასა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

ოთხშაბათი 17 ივლისი

07.00 დოკ/ფ "ლეონარდო და ვინჩი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისკენ" 10.10, 02.30** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე" 12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.30** მხ/ფ "**ზაფხული**" (კ.ჰეპბერნი) **15.00** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი" 18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო" 20.30** "სპორტის დაფა" **20.45** ტ/სერ. "**უბიერი მოახლეები" 21.45** ტ/სერ. "**მთავრობა" 22.45** მხ/ფ "**ამოვდა კიდრავს**" (ი.ჰოუეი) **00.50** მხ/ფ "**უნასაკნელ გზაზე**" (ფ.კლუზე) **05.00** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ გთავაზობთ.

